საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი მესამე   ფასი 7 კაპ.   ხუთშაბათი, 16 თებერვალი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 36   ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი   № 36

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მ., $\frac{1}{2}$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ.“ ეღირება 13 მ.—75 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

კ. გ. კაპანელი
იბეჭდება და მალე გამოვა ახალი ორიგინალური ნაწარმოები
ტანჯვა და შემოქმედება
(რუსულად)

შინაარსი: 1. Fiat lux, 2. მეცნიერულ მსოფლმხედველობის მეტაფიზიკური ღირებულება, 3. ნივთიერების გასულდგმულება, 4. რელიგია და მეცნიერება, 5. მისალებია თუ არა ეს ცხოვრება, 6. ინდივიდუალობა და საზოგადოება, 7. ტანჯვა და შემოქმედება, 8. ტანჯვა ნიცშეს შემოქმედებაში, 9. ტანჯვის იდეა ქართულ ლიტერატურაში, 10. ორმაგი სიყვარული, 11. „ყორანი“ და „მერანი“, 12. სიტყვა და სინამდვილე, 13. იდეა ქართველ ერისა, და სხვა...

ხელის მოწერა მიიღება შემდეგი მისამართით: Тифлисъ. Дворцовая, Общество Грамотности Груз. Зав. книж. магазиномъ Ивану Авалишвили. ხელის მომწერთათვის წიგნის ფასი—2 მ. გამოსვლის შემდეგ წიგნი ეღირება 2 მ. 50 კ. წიგნი გამოვა აპრილის 15—20, 1917 წ.

(6—526—3)

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა
ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50).
სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—4)

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს
ოლღას ქ. № 3

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9\frac{1}{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბედინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

მოგების დაცვა და ეროვნული ბურჟუაზია

მრავალ ათეულ წლების განმავლობაში მთელი ორი მილიონი ქართველი: კაცი, ქალი, მოხუცებული თუ ბავშვი, სომხის ვაჭართა ხელში იყო. აი ეს რას ნიშნავს: ყველაფერი, რაც ამ ორ მილიონ კაცის სულს ესაჭიროებოდა ჩასაცმელ-დასახურავად, სახლკარის მოსაწყობად თუ როგორც სანოვაგე; ყველაფერი, რაც ქართველ ოჯახს მოუნდებოდა ყოველ დღე, ჩვეულებრივად, თუ იშვიათს შემთხვევებში, როგორც, მაგალითად, ნათლის, ქორწინების თუ ტირილის დროს, ყველაფერი ეს მთელ ქართველობას სომხის ვაჭართაგან უნდა მიეღო და ყოველთვის, ყოველ ყიდვის დროს ქართველ მყიდველს, ამ სომხის ვაჭრისთვის უნდა მოგება დაეტოვებია; და რაც უფრო გამოუცდელი და ბაზრის უცოდინარი იქნებოდა ეს ჩვენი ქართველი მომხმარებელი, ხოლო მეორეს მხრით, რაც უფრო მოხერხებული და მარჯვე—ის სომხის ვაჭარი, იმდენათ მეტი მოგება დარჩებოდა ამ უკანასკნელის დახლს. რაც უფრო შეძლებიანი იქნებოდა ქართველი ოჯახი და გართულებული მოთხოვნილება გემოვნების პატრონი, მით უფრო მჭიდრო იყო მისი ურთიერთობა ბაზართან და ვაჭართან, მით უფრო მეტი მოგება შემოუდიოდა მისგან ვაჭარს. მეტად ცხადი მაგალითებით მტკიცდება ეს მოსაზრება. გალაღებულ ცხოვრებას შეჩვეული და ფართე მოთხოვნილების მქონე დიდი გვარიშვილები მთელ თავიანთ საცხოვრებელს ჩალის ფასად სომხის ვაჭარს უგდებენ ხელში საახალუხოდ თუ საკაბოდ წაღებულ ორიოდე ადლ ფარჩისა თუ აბრეშუმის ქსოვილის საფასურში.

დღესაც, ჩვენს თვალწინ ტკაპნიან ქვაფენილს ამ გზით გაღატაკებული თავადიშვილები.

მეორეს მხრით ყველაფერს, რასაც ორ მილიონ ქართველობის მწარმოებელი ენერგია ჰქმნიდა, რასაც იძლეოდა მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობა და რისი გაყიდვაც პირდაპირ აუცილებელი იყო, რომ ქართველობას ერთის მხრით სახელმწიფო, საერობო თუ სხვა რამ გადასახადი გაესტუმრებია, ხოლო მეორეს მხრით გარდუვალი საოჯახო მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია, სულ უბრალო, ცოლშვილის სიტიტვლე ჩითით დაეფარა, თავი რომ გავანებოთ სწავლა აღზრდასა და სამისოდ საჭირო ხარჯებს, აი ყველა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქართველობას მთელ თავის ოფლისა და შრომის ნაყოფი უნდა ბაზარზე გაეტანა და სომხის ვაჭრისთვის მიეყიდნა. გაჭირვებული, ბაზრის უცოდინარი, ორგანიზაციულად მოუწყობელი, გზა-კვალის არ მცოდნე სოფლის მწარმოებელი მეურნე სხვაგან სად წავიდოდა. იგი მუდამ არამც თუ საერთოდ სომხის ვაჭართა წოდების, არამედ ერთი და იგივე პირის საფექნელი მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. ბაზრის პატრონიც და ფულის მექონიც სომხის ვაჭარი გახლდათ და ქართველი მწარმოებელიც მაინცდამაინც აქ უნდა მისულიყო. ცხადია ვაჭარი მდგომარეობით ისარგებლებდა და ჭირნახულს ოხრის ფასად ხელში ჩაიგდებდა, ხოლო გაცემულ ფულიდან სოფლის მწარმოებლისაგან ნახევარს სულ მუქთად იმ წამსვე უკან დაიბრუნებდა, რა ერთი-ორად ძვირად მიჰყიდდა მას სხვა და სხვა მისთვის საჭირო საქონელს.

მარტო ამ გზით მოგებას როდი ჯერდებოდა საქართველოში მოვაჭრე სომეხი. გაჭირვებულ ხალხში ფულის შიმშილი ყოველთვისაა და ისიც ცდილობდა ეს მდგომარეობა სავსებით გამოეყენებინა. დიდ პროცენტებში ფულის გასესხება, მევახშეობა და „ნეუსტოიკები“— სომხის ვაჭართა ჩვეულებრი იარაღი იყო. ერთი სიტყვით, მთელი ქართველობა, როგორც მყიდველი, ის გამყიდველი, როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი, მთელი ორი მილიონი ქართველობა სომხის ვაჭართა ხელში უნდა გაცხრილულიყო, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი მრავალმხრივი სოციალ-ეკონომიური და სხვა და სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნივთიერი მოთხოვნილება, უნდა გაცხრილულიყო და კიდევაც გაფცქვნილიყო. ქართველი ერის მთელი წარმოება, რაც კი იყო, სულერთია, დიდი იყო ეს თუ პატარა, მთელი ქართველობის აღებ-მიცემობა, რაც კი იყო, სულერთია დიდი იყო ეს, თუ მცირე, ყველაფერი ეს სომეხთან უნდა მოსულიყო და იგი გაემდიდრებია. ამგვარად საქართველოს საზღვრებში, ქართველი ხალხის საცხოვრებელ ტერიტორიაზედ მოხდა შემდეგი ამბავი: მთელი ერი, ორი მილიონი ქართველობა, უცხო ხალხის, სომეხთა ერთი მუჭა ბურჟუაზიას ასუქებდა და ამდიდრებდა. ეკონომიურად, მთელი ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვიან, და მთელი ერი, რომელსაც ქართველობა ეწოდება, სომხის ვაჭართა, სომხის ბურჟუაზიის ხელქვეითი შეიქნა და მის ეკონომიურს მონობაში ჩავარდა! ეს არც იმიტომ მომხდარა, რომ რომ სომეხს ქართველზე უფრო ძლიერი მკლავი ჰქონდა. არც იმიტომ, მან ხმლის მოქნევა უკეთ იცოდა. ასეც რომ ყოფილიყო, ერთი მუჭა სომხობა აბა რას გახდებოდა საქართველოში. პირიქით, ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ მაგარ მკლავში ქართველს მხოლოდ ხმალი ეჭირა და სომეხს კიდევ თავის სუსტ ხელში—გირვანქა, არშინი და „ჩოთქი“. ბრძოლა ახალის იარაღით სწარმოებდა და ამაში სომეხი გვჯობნიდა. (დღეს ძალა ფულშია და სიმდიდრეში).

რაც ნატურალური მეურნეობა გადავარდა და ბურთი და მოედანი მოძრავ სიმდიდრეს, ფულით მეურნეობას შერჩა, ჯერ ვაჭრობა და მერე კაპიტალისტური მრეწველობა შეიქმნა ფულის შეძენისა და სიმდიდრის შექმნისა და დაგროვების იარაღად. ამ იარაღის პატრონად ყოველგან ვაჭარ-მრეწველთა წოდება გახდა. ეს კლასი თუ წოდება, ყოველგან მცირედია და რიცხვით მთელი ერის მინიმალურ პროცენტს შეადგენს. თვით წესი და ბუნება დღევნდელი ეკონომიური ურთიერთობის, თვით მისი საფუძველი მოითხოვს და წარმოშობს ესრეთ ვითარებას. წვეთით ზღვა აივსო და ვაჭრობაც ისეთი რამეა, რომ პატარ-პატარა მოგებისგან დიდ ქონებას აგროვებს. სომხობაც ჩვენს ქვეყანაში ამ ვაჭრობას დაეპატრონა, ხალხის ცხოვრების ნამდვილ სასულეს. ორი მილიონი ქართველობა, სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების კანონების ძალით, ყოველთვის ამ ვაჭართა ხელში უნდა გაცხრილულიყო და ყოველ გაცხრილვის დროს იქ უნდა დაეტოვებინა თავისი ტყავი, რასაც ვაჭრობის ენაზედ მოგებას ეძახიან. ვაჭრობა აუცილებელია. უამისოდ დღეს ცხოვრება წარმოუდგენელია. აშკარაა, რომ სომხის ვაჭარი საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ საქართველოს უბედურება ის იყო, რომ კერძოდ თითეული მწარმოებელი და მომხმარებელი ქართველისგან, ხოლო საერთოდ მთელ ქართველობისაგან, როგორც მწარმოებელ, მომხმარებელ ერთეულისაგან აღებული მოგება ქართველობას სამუდამოდ ეკარგებოდა. ამ მოგებას უცხო ტომი ისაკუთრებდა. მთელის ამ გზით დაგროვილი სიმდიდრე, ქართველი ერის დაკარგული ქონებაა. მას სხვა ერის ბურჟუაზია ჰპატრონობს. დაკარგულია იგი ქართველ კულტურისათვის, ქართული ვერც ხელოვნება, ვერც მეცნიერება, ვერც ეკლესია და ვერც პოლიტიკა მისგან ვერაფერს ვერ ისარგებლებს. ამ სიმდიდრეს და მის პატრონთ თავიანთი საკუთარი ხელოვნება აქვთ მოსავლელი, რომელსაც სომხური ხელოვნება ჰქვიან, თავიანთი საკუთარი სკოლა-მეცნიერება, რომელსაც სომხური სკოლა მეცნიერება ეწოდება, თავიანთი საკუთარი ეკლესია თუ პოლიტიკა, რომელსაც სომხური ეკლესია და პოლიტიკა ჰქვიან! წაღებით წაიღეს, და მოცემით არაფერი არ მოგვეცემა. წაღებული—დაკარგულია! აი რას ნიშნავს უბრალო თქმა, ორი მილიონი ქართველი: კაცი, ქალი, მოხუცებული თუ ბავშვი სომხის ვაჭართა ხელში იყო! სიმდიდრეს, ფულს, დღევანდელ ცხოვრების ამ გამგე ძალას, ვაჭრობა და მრეწველობა ჰქმნის. და რომ სიმდიდრე და ფული ერს რჩებოდეს, მას თვისი ეროვნული ბურჟუაზია უნდა ჰყავდეს. რამდენი უგუნურება და უმეცრება იყო იმის თქმა, განა სულ ერთი არ არის ვინ მოიგებს და გაგყვლეფს, ქართველი ბურჟუაზია თუ სომხისაო? რამდენად სუსტი უნდა ყოფილიყო სინამდვილის ცოდნა ჩვენში და რამდენად ღატაკი მთელი ჩვენი პიროვნება, რომ ასეთ უაზრობას გასავალი ჰქონოდა და იგი „ხალხის დარაზმვის“ ძალად გადაქცეულიყო! ჰაი, ჰაი, რომ სულ ერთი არ არის თუ ვინ იდებს ჯიბეში ქართველობის აღებ-მიცემობისგან წარმოშობილ მოგებას, ან თუ ვინ ჰყვლეფს ქართველ ერს? საქართველოს ეროვნულ საზოგადოებრიობისა და ეკონომიკის, აგრეთვე ცალკე კლასების კეთილდღეობის თვალსაზრისითაც დიდი უბედურებაა, როდესაც ამ მოგებას სომხისა და ან სხვა რომელიმე ტომის ბურჟუაზია მიისაკუთრებს და დიდი ბედნიერებაა, როდესაც ეს მოგება-სიმდიდრე საქართველოსვე დარჩება, თვის ეროვნულ ბურჟუაზიის სახით. ყველა სხვა პირობების ერთნაირობასთან, ჩვენი ქვეყნის ფეხზე დამყენებელი ძალა, ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობაა. ჩვენი ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა ამავე დროს ჩვენი ქვეყნის სიმტკიცესა და საერთო კეთილდღეობის ზრდა იქნება.

ს. კედია.

პირველ ცოდვის კურიოზი

პოლონეთის საქმეში რუსეთმა ხომ ჭკუა წააგო, დღეს ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. ვერც საზოგადოებრივმა რუსეთმა თავის საუკეთესო პოლიტიკურ მოღვაწეებით და ვერც ოფიციალმა რუსეთმა, საუკუნეებით რომ იმპერიის ბედს განაგებს, პოლონეთის საკითხის სიღრმეს ვერ ჩასწვდნენ და მისი დიდი მნიშვნელობა ვერ შეიგნეს, გარდა რუსული ჩვეულებრივი პოლიტიკური სიბეცისა და იმ ველური იმპერიალიზმისა, რომელსაც განაპირა ქვეყნები და რუსეთში მოსახლე არა რუსი ერები რუსეთის პოლიტიკური კუჭის გადასახარშავ მასალად მიაჩნიათ. პოლონეთის საკითხისთვის სათანადო ანგარიშის გაწევა რუსეთმა ნამეტურ იმიტომ ვერ შესძლო, რომ დაახლოვებითაც ვერ დაინახა თავის მოსისხლის, გერმანიის სამხედრო ძლიერება. რომ ეს არა, რუსეთის მთავრობა ან სრულიად ომს არ დაიწყებდა, ან რაკი ერთხელ დაიწყო, თავის არსებობის შენახვის გულისათვის მაინც ხელს აიღებდა ველურ იმპერიალიზმის გრძნობაზედ, უფრო განათლებულ იმპერიალიზმის პოლიტიკას გაჰყვებოდა და პოლონეთის მნიშვნელობასაც იმ თავითვე ყველა საჭირო სიფრთხილით და საღის სახელმწიფოებრივის ინტერესით გაზომავდა.

რომ ომის დაწყების დროს რუსეთის მთავრობა გაბედული და რადიკალური პოლიტიკით გამოსულიყო ეროვნულ საკითხში და ოც მილიონ პოლონელ ხალხში საქმით შეეტანა რწმენა, რომ რუსეთის დახმარებით და თაოსნობით პოლონეთი აღსდგებოდა პოლიტიკურად, სახელმწიფოებრივად, რომ რუსეთს პოლონეთში აღედგინა და სიცოცხლისათვის გამოეწვია ისეთი სახელმწიფოებრივი ფუნქციის აღმასრულებელი ორგანოები, როგორიც არის თუნდაც პოლონეთის სახელმწიფო საბჭო, გერმანიამ და ავსტრიამ 5 ნოემბრის თარიღით რომ პოლონეთში შემოიღეს, და ამით ნამდვილი პატრიოტული აღტყინება და ენტუზიაზმი შეექმნა მთელი პოლონეთის ერისა,—დღეს შეიძლება ბრძოლის ასპარეზზე სულ სხვა მოხაზულობა ჰქონოდა. თუ პოლონეთის შვილები ამ ასი წლის წინად ნაპოლეონის ჯარში იბრძოდნენ იტალიასა, შვეიცარიასა და ამერიკაში თავიანთი სამშობლოს თავისუფლების აღდგენის გულისათვის, დღესაც პოლონეთი იმავე თავისუფლების გულისათვის ქუდზედ კაცს გამოიყვანდა და მთელის თავის ტრადიციულის სიმამაცით რუსეთის ჯარში, რუსეთისავე გვერდით იბრძოლებდა. პოზნანისა და გალიციის პოლონეთიც რუსეთთან იქნებოდა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო საქმე და პრაქტიკული ნაბიჯი; საჭირო იყო თვით პოლონეთისა და მისი არჩეული პირების ჩაბმა პოლონეთის სახელმწიფო შენობის აგების საქმეში. მარტო და მკრთალი სიტყვა პოლონეთის თვითმართველობაზე არ კმაროდა. სიტყვა რა სარწმუნო უნდა ყოფილიყო და დასაჯერი იმ ხალხისთვის, რომელსაც წარსულიდან მხოლოდ მწარე სინამდვილე და მწარე საქმე ახსოვდა მთავრობისა და სხვა არაფერი. მაგრამ რუსეთმა საფრთხე და საშინელი მტრის ძალა ვერ დაინახა, და შიში ვერ იგრძნო. და რასაც იგი სახელმწიფოებრივის უმწიფრობით ვერ მიხვდა, იმას ვერც საფრთხემ მიახვედრა, რადგან საფრთხე რომ ეგრძნო, ალღოც არ ეყო. ამგვარად რუსეთმა ომის დროსაც უყურადღებოდ დასტოვა განაპირა ქვეყნები, ის პირველი კარები, რომლებიც ნამდვილ რუსეთის შუაგულს იცავენ და რომელთა სიმტკიცე უპირველესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ყოველი გონიერი მთავრობისათვის. ხოლო ქვეყნების სიმტკიცის შექმნა უწინარეს ყოვლისა მათ მკვიდრთა და შვილთა უფლების ცნობით, შეწყნარებით და დაცვით შეიძლება. ეს აუცილებელია, რომ აზრი მიეცეს მათ მსხვერპლს და წყარო დაუშრეტელი მათ ენტუზიაზმსა და აღფრთოვანებას. რუსეთმა თავისი თავი ვერ დასძლია ამ იშვიათ დროსა და გარემოებაში, ჩაიდინა დიდი შეცდომა და დიდი ზიანიც მოუტანა თავის თავს. დღეს, როდესაც პოლონეთის მტრებმა წაიღეს და მისი დამოუკიდებლობა ოფიციალად იცნეს, დღეს, როდესაც აქ სახელმწიფო საბჭო მუშაობს და საცაა პოლონეთი სამეფოს სეიმიც შეიკრიბება, რუსეთში შესდგა საგანგებო თათბირი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თავად გალიცინის მეთაურობით, რომ შეიმუშაოს პოლონეთის მომავალ სახელმწიფოს წყობილება! დღეს მთელი პოლონეთი მტრების ხელშია. რუსეთს პოლონეთის ერთი ნაკუწის ფაქტიური მფლობელობაც არა აქვს. როცა ჰქონდა და ჰფლობდა, მაშინ არ უზრუნვია პოლონეთის სახელმწიფოს მოსაწყობად, ზრუნავს მაშინ, როცა დაჰკარგა და ხელიდან წაუვიდა. რა უფლებით? რა ლოღიკის ძალით? ეს უფრო პირველ ცოდვისა და შეცდომის კურიოზია!

ძველი ქართველი.

სიტყვა და საქმე

14 თებერვალს განახლდა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა. შიშს გამოსთქვამდენ,—ეხლანდელი მთავრობა სათათბიროს არ მოიწვევსო. ასეთს იჭვებს სათათბიროსა და საშინაო საქმეთა მინისტრის პროტოპოპოვის ურთიერთთან დამოკიდებულებით ასაბუთებდენ. პროტოპოპოვს ლიბერალურმა რუსეთმა სასტიკი ომი გამოუცხადა, უმთავრესად იმის გამო, რომ ის სტოკჰოლმში გერმანელთა ელჩს ესაუბრა რუსეთისა და გერმანეთის დამოკიდებულების შესახებ. პროტოპოპოვი სათათბიროში საყურადღებო პიროვნებად იყო მიჩნეული. ის თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს და მინისტრად დანიშვნამდე ამ თანამდებობას ასრულებდა. მოკავშირე სახელმწიფოებში, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს დელეგაცია გაემგზავრა, პროტოპოპოვი, დელეგაციის თავმჯდომარე იყო. სათათბიროს გარეშეც, პროტოპოპოვი როგორც უდიდესი მემამულე და მსხვილი მრეწველი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი და საერობო მოღვაწე, დიდ საზოგადო მოღვაწედ იყო

ცნობილი. დელეგაციის დაბრუნებისა და მის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, პროტოპოპოვი ისეთ ცოდვილად გადაიქცა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრები მის დანახვასაც კი სათათბიროში დიდს უბედურებად სთვლიან. სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს ხელიც არ ჩამოურთმევია მისთვის ერთს ოფიციალურ მიღების დროს. საიდუმლოებითაა მოცული, ასეთი რა საშინელი ცოდვა მიუძღვის ამ მინისტრს. ჯვარს აცმევენ მას იმისთვის, რომ მან პროგრესიულ ბლოკის შეურიგებელი პოზიცია დასტოვა და პორტფელი აიღო, ან იმისთვის, რომ ის გერმანელთა ელჩს ესაუბრა, რაც მისმა ამხანაგებმა წინდაწინვე იცოდენ, თუ მას კიდევ რამე სხვა, ჩვენთვის უცნობი, ცოდვები მიუძღვის. პროტოპოპოვისა და სათათბიროს შორის ომი ჯერ კიდევ სწარმოებს და სათათბიროს გახსნის დღეს 14 იანვარს, ეს მინისტრი მინისტრთა სავარძელზე არ იჯდა.

სათათბიროს მუშაობა დაიწყო და მომავალი გვიჩვენებს, როგორ შედეგებს გამოიღებს სათათბიროს ბრძოლა პროტოპოპოვთან და მისდამი სიძულვილი თუ მტრული განწყობილება. სათათბიროს პირველ კრებას მშვიდობიანი ელფერი ჰქონდა. ჩვეულებრივი პათეთიური სიტყვები, ჩვეულებისამებრ, საკმაოდ წარმოითქვა. თავმჯდომარის მისალმება მხედრობისადმი მრავალჯერ „ბრავოს“ ძახილით იქმნა გაწყვეტილი. მისი ფიცი და აღთქმა, რომ ომი სრულს გამარჯვებამდე არ შეწყდებაო, დეპუტატებში თანაგრძნობის ხმას ჰპოულობდა. ასეთი იყო სათათბიროს პირველი სხდომის გარეგნული, დეკორრატიული მხარე.

მაგრამ სათათბიროს პირველი სხდომა საქმიან კილოსაც არ ყოფილა სრულებით მოკლებული. მიწადმოქმედების ახალმა მინისტრმა პირველ კრებაზევე მოისურვა სათათბიროსთვის გაეცნო მისი გეგმა შესახებ სასურსათო საკითხისა. სასურსათო საქმე რუსეთში უაღრესად აწეწილია და ამის შესახებ რიტტიხის სიტყვას ყველა მოუთმენლად მოელოდა. სამწუხაროდ, ახალ მინისტრის სიტყვა საგაზეთო წერილს უფრო ჰგავდა, ვინემ უდიდეს ეკონომიური ხასიათის გეგმას. რიტტიხმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მისი მოადგილის სასურსათო პოლიტიკა—მტკიცე ფასების დამყარება. მან ფრიად ნათელი მაგალითები მოიყვანა იმის შესახებ, რომ მტკიცე ფასების დამყარებამ სრულიად მოსპო საფუძვლიანი აღებ-მიცემობა და სანოვაგით სპეკულიაციას შეუწყო ხელი. მსხვილს ვაჭრებს პური შეძენილი ჰქონდათ ისეთს ფასებში, რომლებშიაც შეიძლებოდა მათი შეძენა, ე. ი. მტკიცე ფასებზე უფრო ძვირად. ასეთს ვაჭრებს მთავრობის წარმომადგენელნი საქონლის რეკვიზიციას უშვრებოდენ და მათ დიდ ზარალს აყენებდენ. ამით სრულიად მოისპო სერიოზული ვაჭრობა პურითა და ასპარეზი დარჩა მხოლოდ სპეკულიაციას, რომლისთვის საშიში არ გამოდგა არც მტკიცე ფასები და არც რეკვიზიციაო. ჩვენი რწმუნებულები უმწეონი შეიქმნენ და ვერ მოახერხეს საკმაო პური გამოეგლიჯათ მცხოვრებთა ხელიდან იმ ფასებში, რომელიც განყენებული მოსაზრებით იყო დაწესებული. ამავე დროს სრულებით გაუქმებული შეიქმნა სავაჭრო აპარატი, რომელსაც ხშირად ბავშვობიდან და ხშირად მემკვიდრეობით შეძენილი ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი აგენტების მთელი შტატები მოეპოვება. სასურსათო გეგმის ასეთ ულმობელ კრიტიკის შემდეგ, ახალმა მინისტრმა თავისი პროექტები წამოაყენა სასურსათო კრიზისის დასაცხრობად.

ამ გეგმის შესასრულებელი საშუალება—პურის განაწილება „რაზვერსტკაა“. ამის იდეას შეიცავს ის, რომ გლეხების მიერ პურის გაღება სავაჭრო მორიგების ნაცვლად სამოქალაქო ვალდებულებად გაგვეხადა. ამ ბეგრის გასანაწილებლად უნდა გამოგვერკვია, თუ რამდენი სურსათი სჭიროდა მთელს მხედრობას და ეს რაოდენობა ყველა, პურით მდიდარ გუბერნიებს შორის გაგვეწერა. მინისტრს გამოუკვლევია, საშუალოდ რამდენით სჭარბობდა პური და გასაყიდათ გაჰქონდა ამა თუ იმ გუბერნიას უკანასკნელ წლებში. ასეთი მშვენიერი გეგმა შეუდგენია ახალს მინისტრს სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად. მის მიერ დახატული სურათი უთუოდ დიდს იმედებს აღუძრავდა სათათბიროს წევრებს, რომ რიტიხის გეგმა უკვე ცხოვრებაში ნაცადი არ იყოს ამ ორიოდე თვის განმავლობაში და არ გვქონდეს საკმაო საბუთები, რომ ეს გეგმაც ისეთივე უსარგებლო და გამოუსადეგარი იქმნება, თუ უარესი არა, როგორც მტკიცე ფასები და სხ.

თუმცა რიტიხმა პურის მწარმოებელთ „მოქალაქეობრივ მოვალეობად“ გაუხადა მისთვის პურის ჩაბარება ზომიერს ფასებში, მან ამის შესახებ „რაზვერსტკაც“ კი მოახდინა და გამოარკვია, თუ რომელმა მაზრამ რამდენი პური უნდა გაიღოს, მაგრამ ამან სრულებით ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. ახალმა მინისტრმა გლეხებზე გაწერილი პურის დახლოებით ერთი მესამედი ნაწილი თუ მიიღო. დამშეულს რუსეთს რიტიხის სასურსათო გეგმით მოპოვებული პური, როგორც უკვე ირკვევა, ვერ გამოჰკვებავს და რუსეთის სინამდვილეში, სასურსათო ვაკხანალია, როგორც აქამომდე, განმტკიცებული დარჩება.

ე. მალი..

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

პოლონეთის ბრძოლის ასპარეზზე, სმორგონის ახლოს, გერმანელებს ზედიზედ 7 საათის განმავლობაში 8 ჯერ გამოუშვიათ მომხამული გაზები. დეპეშაში ნათქვამი არ არის, ამის შემდეგ გერმანელთა ქვეითა ჯარმა იერიში მოიტანა თუ არა? პოლონეთის ბრძოლის ველისათვის სმორგონს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ იგი პირდაპირ დამცველი ზურგია ქ. ვილნოსი, სმორგონი ამავე დროს ძალების საკონცენტრაციო პუნქტია. როგორც მარცხენა ფრთა კოველ-ვლადიმირ-ვოლინსკის ხაზისა, სმორგონის მიმართულებით მოპირდაპირეს საშუალება ეძლევა ყოველთვის რუსეთის ჯარების შეტევა გააბათილოს ფართო დემონსტრაციითაც კი. საზოგადოთ, აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე გერმანელები უმთავრესად მთავარ სტრატეგიულ პუნქტებთან იჩენენ სულ მცირე მოქმედებასაც კი. ასეთგვარ მანევრებს დიდი პსიხოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მოპირდაპირე ყოველთვის იძულებულია დიდი ანგარიში გაუწიოს მტრის მოქმედებას და ძალებიც შესაფერისად დაანაწილოს.

იტალიის ასპარეზზე მოქმედება თანდათან უფრო ფართო ხასიათს იღებს. ჯერ-ჯერობით მაინც ძნელია იმის თქმა, აქ უკვე გენერალურ ბრძოლასთანა გვაქვს საქმე, თუ არა.

X.

ომის დეპეშები

15 თებერვალი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. სმორგონის მიდამოებში მოპირდაპირემ 7 საათის განმავლობაში რვაჯერ მომართა ჩვენსკენ მახრჩობელა გაზის ტალღა.

რუმინეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზზე, სივასის გზატკეცილის ჩრდილოეთით ოსმალების შემოტევა მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. ქ. დვინსკთან ჩვენი მფრინავი პოდპრ. ეფიმოვი სამჯერ შეება გერმანელ მფრინავს და იძულებული ჰყო მტრის მხარეს დაშვებულიყო.

გემების დაღუპვა

ლონდონი. ოფიც. ცნობით, ნიუ-იორკიდან მომავალი გემი „ლაკონია“ 18 ათას ტონის წყალთწყვისა დაღუპეს გაფრთხილების მიუცემლად.

ლონდონი. საღამოს ოფიციალი ცნობა: 12 თებერვალს დაუღუპიათ ჰოლანდიის იალქნიანი გემი „მარია-ადრიანა“ 88 ტონის წყალთწყვისა, ნორვეგიის გემი „ვიგდა“ 1854 ტონის წყალთწყვისა, საფრანგეთის იალქნიანი გემი „კლებერ“-ი 277 ტონის წყალთწყვისა. 13 თებერვალს ინგლისის გემი „ალგენს“-ი 2361 ტონის წყალთწყვისა.

ჰააგა. დაატყვევეს გერმანელების გამორიყული წყალქვეშა ზედმყოფებით.

საფრანგეთი.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. ბელგიაში, ზღვის პირად და მალანკურის ტყის აღმოსავლეთით ზარბაზნებით დავანგრიეთ გერმანელების გამაგრებული სანგრები. ტაგიურის ჩრდილოეთით მტრის წინწამოწევდილ სანგარს მოულოდნელად თავს დავესხით და ტყვეები წამოვიყვანეთ.

ინგლისი

ლონდონი. საღამოს ოფიც. ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე მომქმედ ინგლისის მთავარ შტაბისა. ანკრის მიდამოებში 11 ვერსის სიგრძეზე 2 ვერსით წინ წავიწიეთ გედეკურიდან. სოფ. სერრას გარდა, ძლიერი სანგრები გვიჭირავს ბარლენკურის ბორცვზე, სოფ. ბარლენკური, ფოკური, პტი-მირომონი, მიუახლოვდით ლებარკამლსა და მიუსონს. დღეს სომას სამხრეთით გერმანელების იერიში მოვიგერიეთ. არასის ჩრდილოეთით 24 კაცი დავატყვევეთ. გუშინ გერმანელების 1 საფრენი დავაზიანეთ დ იძულებულ ვყავით დაშვებულიყო.

ლონდონი. თემთა პალატაში ბონარლოუმ განაცხადა: მესოპოტამიაში სანაიატიდან კუტ-ელ-ამარამდე მტრის ხაზი ინგლისელებმა დაიპყრეს. კუტ-ელ-ამარი ინგლისელებს თავისთავად დარჩათ.

ლონდონი თემთა პალატა. ბალფურმა შეკითხვის პასუხად განაცხადა: ინგლის-რუსეთის კონფერენცია სპარსეთის თაობაზე არავითარს დამატებითს ხელშეკრულებას არ დასდებს, იგი არ შეეხება სპარსეთის დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას.

მეორე შეკითხვის თაობაზე განაცხადა: შემოზიდვის შემცირება საზოგადო ინტერესით არის გამოწვეული. ვეცდებით ამ შემცირებამ უხერხულობა არ გამოიწვიოსო.

ლინჩი შეეკითხა: საკმაო ზომა ხომ არის მიღებული საფრანგეთის ინტერესების დასაცავად, რადგანაც საფრანგეთმა ომის საქმეში ბევრი რამ თავს იდვაო. ბალფურმა უპასუხა: შემკითხველს ვერ დავეთანხმები, საფრანგეთი ჩვენზე მეტს მონაწილეობას არა ღებულობს ომშიაო (მოიწონეს).

ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დიუკმა განაცხადა: ირლანდიაში 28 კაცი დაატუსაღეს. ამ პირთ არ გაასამართლებენ, თუმცა სამხედრო მთავრობა განკარგულებას მოახდენს, რათა მათ ირლანდიის ფარგლებში არ იცხოვრონო.

იტალია.

რომი. იტალიის ოფიც. ცნობა. გორიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, მტრის რაზმები სწრაფი იერიშით გამოექანენ ვერტოიბის სამხრეთით წინ წაწეულ ჩვენი სანგრებისაკენ, მაგრამ მოვიგერიეთ, გავფანტეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. დუინის მახლობლად მტრის საფრენი ჩამოვაგდეთ.

ამერიკა

ვაშინგტონი. დღეს უილსონმა კონგრესს წარუდგინა „შეიარაღებულ ნეიტრალობის“ დასადასტურებელი წინადადება. პრეზიდენტს დაწვრილებით შეუმუშავებია გეგმა გერმანელების მიერ გარემოცულ ფარგალში ამერიკულ სავაჭრო გემების მენავეობისა. პრეზიდენტმა განაცხადა: მშვიდობიანობის მოსურნე ვარ, მაგრამ არის უფრო უმაღლესი რამ, რაიც მშვიდობიანობაზე მაღლა სდგას, ეს გახლავთ შეერთებული შტატების სუვერენული უფლებები. საჭიროა, ამერიკის გემებს და მეზღვაურებს თავისუფალი მენავეობა შეეძლოთ ზღვაზეო.

საბერძნეთი

სოლუნი. ათინის ზოგიერთი გაზეთი უკმაყოფილებას აცხადებს, რომ საბერძნეთის ბანკები ინგლისის სესხში მონაწილეობას ღებულობენ.

ხოლუნი. ათინის მთავრობამ ციხიდან გაანთავისუფლა ვენიზელოსელთა მკვლელები. პირეიში 2000 კაცმა მთავარ ქუჩაზე გაიარა, ჯარს უკან დააწევინა და სანოვაგის მაღაზიები აიკლო.

ბრძოლა ზღვაზე

(პეტ. დეპ. სააგ.)

ლონდონი. თემთა პალატა. კარსონმა განაცხადა: 13 თებერვალს, ღამის 11 საათზე და ნაშუაღამევს ჩვენი ნაღმოსნები მტრის კონტრ-ნაღმოსნებს შეხვდნენ და შეებნენ. ერთხანს ძლიერი სროლა განიცადეს ჩვენმა გემებმა, თუმცა არ დაზიანებულან. მტრის ზარალი, სიბნელისა გამო, ვერ გამოვარკვიეთ. მტრის გემების მეორე წყებამ 4 ს. 45 წუთზე ზარბაზნები დაუშინა გაუმაგრებელ ქალაქ ბროდსტეროსა და მარგეტს (დუვრის ჩრდილოეთით 200 ვერსზე). სროლის დაწყებისთანავე მახლობლად მყოფი ჩვენი გემების რაზმი გაემართა ამ ადგილისაკენ, მაგრამ მტრის გემები უკვე გაბრუნებულიყვნენ. სროლამ იმსხვერპლა დედაკაცი და ბავშვი, ორი ბავშვი დაიჭრა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები

„Daily Telegraph“-ის თანამშრომელი ნიუ-იორკიდან იტყობინება: შეერთებულ შტატებიდან იანვარში გამოუზიდნიათ 613.450,000 დოლარის საქონელი, წინა თვეებთან შედარებით მეტი 100 მილიონ დოლარის ღირებულებისა. უკანასკნელ შვიდ თვეში გამოზიდულია სულ 3,614 მილიონ დოლარის საქონელი, 1,500 მილიონი მეტი ვიდრე ამავე დროს განმავლობაში შარშან.

ირლანდიის ავტონომია.

ამ კვირაში ირლანდიის ავტონომიის საკითხს კვლავ აღძრავენ თემთა პალატაში. ირლანდიის პარტია მოითხოვს, დაუყოვნებლივ განხორციელდეს ირლანდიის ავტონომია.

ინგლისის ვალი

ინგლისს წელს აუღია 5 მილიარდ მანეთზე მეტი სამხედრო გარდასახადი. ეხლა თემთა პალატაში ბონარლოუმ განაცხადა ომის საჭიროებისათვის 16 მილიარდ მანათზე მეტი კიდევ ვისესხეთო. ჯერჯერობით წელს 15 მილიარდი მანათი შთაუნთქავს ომს.

ეს უკვე მესამე სესხია ომის საჭიროებისათვის. ინგლისს უვალია 23,400 მილიონი მანათი. ამის გარდა ქაღალდის ფული გამოუშვია 1800 მილ. მანათისა.

გერმანეთის ვალი

ომის განმავლობაში გერმანეთს აუღია სულ 2370 მილიონი გირვანქა სტერლინგი (სტერლინგი ეხლა 15 მანეთს უდრის). ამას გარდა 550 მილიონ გირვანქა სტერლინგის ქაღალდის ფული გამოუშვია.

პოლონეთის სამეფო.

ვარშავის ქალაქის მოურავს ხმელევსკის განუცხადებია: ვარშავის ქალაქის გამგეობა დღეში 160 ათას მარკას ჰხარჯავს ულარიბეს მცხოვრებთა უფასო სადილებზე. ამის გარდა გამგეობა ხელმოკლე ხალხს ურიგებს ფეხსაცმელს და ტანისამოსს. ქალაქი ღარიბებზე წელიწადში 16 მილიონზე მეტს მარკას ჰხარჯავსო.

ბრძოლა ჰაერში

„რუ. სლ.“ თანამშრომელი ლემბიჩი სწერს: გერმანელები და ავსტრიელები დღე და ღამ შეუჩერებლად მუშაობენ პირველხარისხოვან მებრძოლ საფრენების დასამზადებლად. მათ განზრახვა აქვთ ამ გაზაფხულზე ისეთივე დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღონ საფრენებითაც, როგორც წყალქვეშა ნავებით.

კოველთან რომ მტრის ბრძოლის ხაზი გავარღვიეთ, გერმანელებმა დიდძალი მაშველი ჯარი მოიყვანეს დამათთან 75 საფრენიც მოიტანეს. მას შემდეგ დაიწყეს ჰაეროპლანებმა თარეში ლუცკსა, ტორჩინსა, როჟიშჩესა, როვნოსა, ზდოლბუნოვოზე და სადგურ კივერციზე. მტრის ესკადრა 8—18 საფრენიდან შესდგებოდა ხოლმე მათ შორის მუდამ იყო ორი საფრენი ყუმბარების მზიდველი, ესე იგი ჰაერის ტრანსპორტი, დანარჩენი მებრძოლი საფრენები. ეს ისეთი მებრძოლი ძალა იყო, რომელსაც პირველ ხანად ჩვენი მცირე საფრენები ვერ გაუმკლავდებოდნენ. იმ ხანად დაიღუპა ჩვენი სახელოვანი სამი მფრინავი პრაპორ. ტიხომიროვი, ლეიტენ. პულცი და პოდპორ. შარაპოვი. 15 ენკენისთვეს მოპირდაპირის 16 მებრძოლი საფრენი თავს დაესხა ლუცკს. მათ შეება ჩვენი რვა საფრენი ამ ბრძოლაში დაიღუპა სახელოვანი მფრინავი პორუჩ. ლებედი და ბაშკიროვი.

უკანასკნელი ცნობები

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ბეტმან ჰოლვეგმა მოიწვია საგარეო საქმეთა მინისტრი ციმერმანი, ყველა ნეიტრალ სახელმწიფოთა ელჩები და გერმანეთის მოკავშირე სამეფოთა წარმომადგენელნი სასწრაფო მოლაპარაკებისთვის. ამ მოლაპარაკებას კავშირი ექნება რაიხსტაგში ბეტმან ჰოლვეგის გამოსვლასთან ამ გამოსვლას, დიდათ სასენსაციო ხასიათი ექმნებაო.

—

სამ თებერვლიდან გერმანელებს ინგლისელებას, მოკავშირეთა და ნეიტრალ სახელმწიფოთა 185 გემი დაუღუპავსთ.

—

12—13 თებერვალს გერმანელებმა 6 გემი დაღუპეს.

—

რიგის ფრონტზე გერმანელებს დიდძალი ჯარი გადმოჰყავთ. გერმანელების და რუსების ჰაეროპლანებს შეტაკება მოუხდათ. გერმანელების ჰაეროპლანები თითქმის ყოველ დღე რუსის ჯარს ზვერავენ.

—

3 და 11 თებერვალს იტალეთის ფრონტზე ბრძოლა გაცხოველდა, ნამეტნავად ტრენტინოს და იზენცოს მიდამოებში. ბრძოლის ინიციატივა, უმეტეს შემთხვევაში, მოწინააღმდეგის მხარეს იყო. ტრენტინოს მიდამოებში ბრძოლა იტალიელების ვის დღეს სახიფათოს წარმოადგენს. იტალიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანელებმა და ავსტრიელებმა ამ მიდამოებში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი, განსაკუთრებით ადიჯეს და დუგანოს მიდამოებში. ტრენტინოს მიდამოებში შემოდგომას და ზამთარში რკინის გზები გაუყვანიათ და დიდძალი სამხარი მასალა მოუტანიათ ინსბრუკსა და სავარიის მიდამოებში.

—

დეპუტატ კ. ჩხეიძეს „დენში“ 1890 წლის ერობის წინააღმდეგ წერილი დაუსტამბია. იგი ამბობს: როდესაც ძალას არ გვატანდნენ, ჩვენ უკეთესს ერობას ვთხოულობდითო.

—

უმკაცრეს შიმშილობის გამო მოკავშირეთ გადაუწყვეტიათ საბერძნეთის ბლოკადა შეასუსტონ და ხალხს საკვები მიაწოდონ მოკავშირეთა წარმომადგენლების ზედამხედველობით.

ახალი ამბავი

◆ **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ 14 თებერვალს მოისმინა ბ-ნ თ. კიკვაძის მოხსენება შესახებ წიგნების გავრცელებისა და დაადგინა, რომ ქართული წიგნები გაავრცელოს ხალხში საზოგადოების განყოფილებათა და მომხმარებელ ამხანაგობათა დახმარებით. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა, საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმად, წიგნის მაღაზიის მოსამსახურეთ მოუმატოს ჯამაგირი 30—60%. აგრეთვე დადგენილ იქმნა მოეწყოს ბათომში თავშესაფარი ომისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის და ამ დაწესებულებისათვის შეიძინოს ბათომის განყოფილებამ მამული (ადგილი და სახლი) 20 ათას მანეთად ღირებული. ვინაიდან ფულის დახარჯვა საზოგადო კრების ნებადაურთველად არ შეიძლება, მოწვეულ იქმნას საგანგებო კრება თბილისსა და ბათომში 26 თებერვალს.

◆ **კავკასიის სასწავლო ინსტიტუტების** და სემინარიების პანსიონებისთვის მიმდინარე წელს ხაზინამ გადასდო 65000 მან.

◆ **კოოპერატივი სოფლად.** სოფ. მისაქცულის (დუშ. მაზ.) მცხოვრებლებმა დაადგინეს დაიარსონ მომხმარებელი ამხანაგობა. ნებართვის მისაღებად შუამდგომლობა უკვე აღძრულია გუბერნატორის წინაშე.

◆ **ელექტრონის გაძვირება.** ქალაქის საელექტრონო სადგურის გამგემ ინჟენერმა ნალბანდიანმა მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომ, რადგან მასალა გაძვირდა, ელექტრონის სინათლეს ფასი უნდა მიემატოსო. ბ-ნ ნალბანდიანის ანგარიშით, კილოუატი ელექტრონის ძალისა გაძვირდება 9—10 კაპ.

◆ **„კრუჟოკის“** საზაფხულო ბინა უსასყიდლოდ დაუთმეს საავარაკო ადგილების მომწყობთა კრებას საგიგიენო გამოფენისათვის.

◆ **ჭიებიანი პური.** ამაღლების ქუჩაზე (სოლოლაკში) ნადარეიშვილის ფურნეში ნასყიდ პურში მსხვილი თეთრი ჭიები აღმოჩნდა. ფურნის პატრონი პასუხისგებაში იქნება მიცემული ადმინისტრაციულის წესით.

◆ **სათესლე მასალა და სამეურნეო იარაღები.** ჩრდილო კავკასიიდან თბილისში დაბრუნდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მდივანი ბ-ნი ფირუმოვი, რომელიც გაგზავნილი იყო სათესლე მასალისა და სამეურნეო იარაღების შესაძენად სოფლებისათვის. ბ-ნ ფირუმოვს დაუკვეთნია 30 ვაგ. სიმინდი, 10½ კარტოფილი და 3 ვაგ. შვრია. აგრეთვე უყიდნია 4.000 ფუთამდე სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი, როგორც მაგალითად, გუთანი, სალეწი, ნიჩბები, სამთითი, ნამგალი და სხვა. ფუთი სიმინდი დაჯდება ადგილობრივ, ე. ი. სადაც ნასყიდია, 2—25, 2—50 კაპ., კარტოფილი 1—20, 1—25 კაპ., შვრია 2—80, 2—90 კაპ. ნასყიდ საქონლის ჩამოსატანად ვაგონებს მიიღებს ბ-ნი თბილისის გუბერნატორი.

◆ **მერძევეობის კურსები.** 14 თებერვალს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დაიწყო მერძევეობის პრაქტიკული კურსები. დაესწრნენ კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ტიმოფეევი, საზოგადოების პრეზიდენტი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი, საზოგადოების საბჭოს შემადგენლობა და სხვ. კურსებზე 30 კაცი ჩაეწერა, ყველანი კარგად მყოფნი; დასახიჩრებული ჯარისკაცნი, რომელთათვისაც კურსები მოეწყო, ჯერ არც ერთი არ გამოცხადებულა.

◆ **ალ. ქიქინაძის გარდაცვალების** გამო სოხუმიდან შემდეგი საძმოს წერილი მოგვივიდა: ვგლოვობთ ერთგულ მამულიშვილის, საზოგადო მოღვაწის [illegible] ქართველ პედაგოგის [illegible] ძის ქიქინაძის უდროვოდ დაკარგვას. გვრწამს, რომ მისგან ნაკარნახევი იდეალები აგვიზრდის ახალგაზრდობას და განავითარებს ეროვნულ თვითშეგნებას ჩვენს ერში. რაჟდენ ჩხარტიშვილი, ივ. პატარაია, ის. თურქაია, მიხა გეგეჭკორი.

◆ **ქურდობა.** თბილისის ვოკზალზე ჯიბგირებმა ერევნის რკინის გზის მატარებელში საშა ფავლენიშვილს ამოაცალეს 2250 მანეთი, რევოლვერი და სამხედრო უმფროსის ბილეთი. ამავე დროს ერთი ქალიც გაძარცვეს. იმავე სადგურზე ქუთათელ ნაფიც ვექილს ანტონ გელაზარაშვილს ამოაცალეს საფულე, პასპორტი და სხვა დოკუმენტები.

◆ **ქალაქის სასაკლაოს დირექტორმა** თავ. არღუთინსკიმ მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას შესახებ სახორცე დუქნების მოწყობისა. მომხსენებლის აზრით, ქალაქმა საკუთარი სახორცე დუქანი როდი უნდა მოაწყოს, არამედ საკლავი საქონელი უნდა იყიდოს და საკომისიოდ მისცეს კერძო კაცებს. ამგვარ კერძო საკომისიო დუქნებში ხორცი უნდა იყიდებოდეს ქალაქის გამგეობის კონტროლის ქვეშ-მძღვანელობით. საჭირო იქნება ქალაქმა მუდამ შეიძინოს დასაკლავად 100 სული მსხვილფეხა საქონელი და ამისთვის ქალაქმა უნდა გადასდვას 50.000 მანეთი. ქალაქმა უნდა იყოლიოს თავისი აგენტები ალსტაფას, ყაზახსა და შულავერში. ნასყიდი საქონელი უნდა აიწონოს ცოცხლად სყიდვიდან 5 საათის შემდეგ. როგორც მომხსენებელი ფიქრობს, საკომისიო დუქნები დიდად გააიაფებს ხორცსაო.

◆ **მზრუნველების არჩევა.** მეფის ნაცვლის განკარგულებით, ყველა თბილისის საპოლიციო უბანში არჩეულ უნდა იქმნენ საგანგებო მზრუნველები, რომელნიც ვალდებულნი იქნებიან თვალყური ადევნონ სასურსათო ნიხრის შესრულებას, სურსათ-სანოვაგით ვაჭრობას და საერთოდ სასურსათო საქმეს თბილისში. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, დღეს, 15 თებერვალს, თათბირი ექნება ქალაქის სასურსათო აღმასრულებელ კომისიას. ქალაქის გამგეობამ სთხოვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ თავიანთი კანდიდატები დაასახელონ მზრუნველებად. საერთო სია, მზრუნველთა კანდიდატებისა ქალაქის გამგეობამ უნდა წარუდგინოს სახაზინო პალატას, რომელმაც, დებულების თანახმად, უნდა აირჩიოს ნახევარი რიცხვი ყველა მზრუნველებისა, ხოლო მეორე ნახევარს აირჩევს ქალაქის საბჭო. როგორც ქალაქის გამგეობა ფიქრობს, თითო საპოლიციო უბნიდან უნდა იქნას 8 მზრუნველი და 3 კაცი მათს კანდიდატად, ასე რომ საერთოდ იქმნებიან 96 მზრუნველი და 36 მათი კანდიდატი.

◆ **ქართულ მომღერალ-მგალობელთა გუნდი** ა. მაისურაძის ლოტბარობით ამ მოკლე ხანში გამართავს დიდ სახალხო კონცერტს სახალხო სახლში.

◆ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას** კრება ჰქონდა 14 თებერვალს და მოისმინა კომისიის მოხსენება შესახებ კურსების მოწყობისა სამხედრო საველე და საზოგადო დოსტაქრობის შესასწავლად. კრებამ, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, საჭიროდ სცნო ასეთი კურსების დაარსება თბილისში სამხედრო ექიმებისათვის. რაც შეეხება ასეთ კურსების მოწყობას სამხედრო ასპარეზზე, კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სამხედრო-სასანიტარო უწყების საქმეაო, საზოგადოება მხოლოდ დახმარებას აღმოუჩენს აღნიშნულ უწყებასო. შემდეგ მოისმინეს იქვე მოხსენება შესახებ ყოველგვარ დახმარების აღმოჩენისა დაჭრილ და დაავადმყოფებულ ჯარისკაცთათვის კავკასიის სამხედრო ასპარეზზე. ამ საგნის გამო კრებამ დაადგინა, რომ დახმარება აღმოუჩინოს ყველა დაჭრილ-დაავადმყოფებულთ, თანახმად უკვე შემუშავებულ პროგრამისა.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნ. ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების საკრებულოს დარბაზში გამართულ საღამოდან წმინდა შემოსავალი დარჩა 2200 მანეთი.

— ამ ჟამად აქ დიდი ყინვები დაიჭირა.

— ამ მოკლე ხანში 100 ვაგონ თეთრ პურის ფქვილს მოელის ქალაქი.

ახალციხე.

სოფ. ფხეროს მცხოვრებ ბინალ ყადირ-ოღლიმ მოკლა მამედ-ალი ოღლი. მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ეს უკანასკნელი მის ცოლთან ცხოვრობდა თურმე.

სოჩი.

თებერვლის 4 დიდი თოვლი დასდო. მოსართავი მცენარეულობა ძალიან დაზარალდა.

შულავერი.

სოფ. სანამერის ახლოს 6 ხეს სიცივისგან გაყინული გვამი ამავე სოფლის მცხოვრებ ანასტასი ლეფონოვისა.

გორი.

ქალაქთა კავშირის საავთმყოფოს მოსათავსებლად რეკვიზიცია უყვეს გორის კლუბს.

მცხეთა.

იანვრის 26 აქ ამოვიდა დამფასებელი კომისია, რომელმაც უნდა განსაზღვროს ვის რამდენი მიეცეს ჯარის საჭიროებისათვის დათმობილ ბინებისათვის. კომისიის თავმჯდომარედ დუშეთის მაზრის წინამძღოლის თანამდებობის ამსრულებელი ვ. ყარანგოზიშვილია.

ფშავ ხევსურეთი.

ფშავში დიდი ყინვებია. ხევსურეთში ზოგ სოფელში ისეთი თოვლი მოვიდა, რომ სოფლით-სოფლამდე მოძრაობა შეწყვეტილია.

— აქეთ ერბო ღირს ფუთი 55 მანეთად, კარაქი კი 45 მან. ქეძილა (ცხვარი) 12—18 მანეთამდე. ყველი ცხვრისა—ფუთი 25 მანეთად.

— ფშაველიდამ ლურჯი და წითელბილეთიანები სულ წაიყვანეს.

— სოფ. მათურაში ი. გოგნელაშვილმა ერთ დღეს გაიგო, რომ მისი ორი შვილი ომში მოუკლავთ. თავადაც თავს იკლავდა თოფით, მაგრამ შეუტყვეს მეზობლებმა და გადაარჩინეს.

— სოფ. შუაფხოსა და ბარისახოში ახალ გახსნილ სკოლებში სწავლა არ სწარმოებს, რადგან მასწავლებლები ვერ იშოვეს ომის გამოისობით.

— ადგილობრივ ბლაღოჩინს ზაბახიძეს, ბაჩანას და ფშაველის მამასახლისს მოლაპარაკება აქვთ ხალხთან, გახსნან ფშაველის შუაგულში „კოოპერატიული დუქანი“, რომელიც შეიძენს ადგილობრივ ნაწარმოებს: ყველს, ერბოს, კარაქს და მატყლს.

— შუაფხოში ისევ „საფერშლო პუნქტი“ იხსნება, ორ-სამ ლოგინიანი.

— სოფ. გოგოლიურთაში ერთ კვირაში 12 სული გარდაიცვალა ქუნთრუშით.

ბათუმი.

ქალაქთა კავშირის კომიტეტმა თებერვლის 7 სხდომაზე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია სიმონ (სისიკო) მდივანი.

სიღნაღი.

სოფ. შრომაში გიო ჩახავაშვილს უცაბედათ თოფი გაუვარდა და ტყვია მოირტყა. გარდაიცვალა.

— სოფ ჯიმითში ცეცხლი გაუჩნდა ილია ბაგრიაშვილის თავლას. თავლა 16 სული საქონლით დაიწვა. ზარალი 2000 მანეთისაა.

ცხინვალი.

მომრიგებელ მოსამართლედ აქ დანიშნეს ბ-ნი რ. გაგუა.

სახელმწიფო სათათბირო

14 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათსა და 22 წუთზე სახელმწიფო სათათბიროს სხდომა გაიხსნა. თავმჯდომარეობდა როძიანკო. მინისტრების ლოჟაში იხსდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თ-დი გოლიცინი, მინისტრები მიწადმოქმედებისა, გზათა მიმოსვლისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და მეფის ნაცვლის წარმომადგენელი სენატორი მილიუტინი და მთავრობის ბევრი სხვა წარმომადგენელი. დიპლომატების ლოჟაში იყვნენ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ტრიბუნებზე აჟარებული ხალხი იყო.

თავმჯდომარემ განაცხადა: „15 ქრისტეშობისთვის უმაღლესის ბრძანების თანახმად, სახელმწიფო სათათბიროს სხდომა გახსნილი არისო“. ამის შემდეგ თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც პირველი სალამი ხმელეთისა და ზღვის ჯარებს მიუძღვნა. გამოსთქვა რწმენა, რომ საბოლოო გამარჯვება რუსეთსა და მოკავშირეებს დარჩებოდა. მოუწოდა რუსის ჯარისკაცებს მხნეობისაკენ და იმედი მისცა, რომ სახელმწიფო სათათბირო შეეცდება შეუძლებელი გახადოს იმ შეცდომების განმეორება, რომელთაც ზიანი მიაყენეს რუსის იარაღს. როძიანკოს აზრით, გერმანეთმა რომ საზავო მოლაპარაკებაზე სიტყვა ჩამოაგდო და მერე წყალქვეშა ბრძოლა რომ გამოაცხადა, ეს მისი დასუსტებისა და დაუძლურების ნიშნებია. თავის სიტყვის დასასრულში როძიანკომ სალამი მიუძღვნა მთელი სათათბიროს სახელით მოკავშირე სახელმწიფოთა· დელეგაციას.

როძიანკოს შემდეგ, სიტყვა აიღო მიწადმოქმედების მინისტრმა. იგი შეეხო სანოვაგის საქმის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ამ მიმდინარე წელს იგი მეტად საძნელო პირობებში იმყოფებოდა. შეეხო პურზედ მტკიცე ფასების დაწესებას, აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში სახეში იყო მიღებული ეკონომიური, სამეურნეო და პოლიტიკური მოსაზრებებიო. მან სტრამ დაწვრილებით ყველა ის ღონისძიება და ის პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც დასჭირდა სამინისტროს, რომ ბოლოს და ბოლოს ცენტრებს და სქლად დასახლებულ ადგილებში პურის მიწოდების და ჩამორიგების საქმე მოეგვარებულიყო. კერძოდ ბაზარზედ პურის ფქვილის გამოუტანლობის შესახებ მინისტრმა სთქვა: საერთო ხმის მიხედვით, რომელიც მომესმა, იმის მიზეზად, რომ პურის ფქვილი ბაზარზედ არ გამოჰქონდათ, გლეხების პურის ფქვილზე მოგახსენებთ, მხოლოდ მარტოდ-მარტო მტკიცე ფასების გავლენას სთვლიანო“.

სხვების სიტყვები ტელეგრაფს ჯერ არ გადმოუცია.

შოთა რუსთაველი

პოლონურ გაზეთ „ეხო პოლსკა“ 16 (29) იანვრის ნომერში დაბეჭდილია წერილი ცნობილ პოლონელ დრამატურგის გრაბსკისა, იმ ლექციისა გამო, რომელიც კ. ბალმონტმა მოსკოვში წაიკითხა რუსთაველზე. მოგვყავს ეს წერილი ქ. ვ. ჰარმაიზეს თარგმანით:

„რა კარგია, ოდეს მშვენიერი პოეტი ლაპარაკობს დიდებულ პოეტზე! გუშინ „სასინოდო სასწავლებლის დიდ დარბაზში“ კ. ბალმონტმა გამართა საღამო, რომ მოსკოვის საზოგადოებისთვის გაეცნო ერთი უმშვენიერესი ეპიური პოემათაგანი, რომელიც კაცობრიობის სიმდიდრეს შეადგენს. დიდი პოემაა, რადგან იტევს ექვსი ათას სტრიქონს. „ვეფხვის ტყაოსანი“ გენიალი ქმნილებაა გენიალ ქართველის რუსთაველისა, რომელიც სცხოვრობდა XII საუკუნეში.

ვინ არ იცის დანტე, შექსპირი, კალდერონი? განა შეიძლება არცნობა ამ მარად ცოცხალ ოსტატებისა! გუშინდელ დღიდან იმათ, ვინც პირველად გაიგონეს ნაწყვეტები რუსთაველის პოემიდან, კ. ბალმონტის მშვენიერ თარგმანის სარკით ანასახი, უნდა მისცენ თავიანთ თავს კითხვა: როგორ მოხდა, რომ ქართველ ჰომიროსის დიდებას ასე პატარა ფრთები გამოადგა, მინემ იტალიელ, ინგლისელ და ესპანელ გენიოსებს? ეს კი ხომ ასეა. ჭეშმარიტად სამყოფი არა ყოფილა უსათუოდ გენიოსად ყოფნა ადამიანისა, რომ შეიქნეს ცნობილი. რუსთაველის გენიოსობის ტოლნი ამაყობენ დიდის სახელით. არ კმარა გენიოსობა, გენიოსი უნდა იყოს კიდევ ბედნიერი, უნდა ეკუთვნოდეს ბედნიერ ერს. რუსთაველი რომ ყოფილიყო ფრანგი, იმას ქვეყანა გაიცნობდა, როგორც კორნელს ქართველები თავიანთ ისტორიულ ცხოვრებას ათასი წლების განმავლობაში გვიჩვენებდნენ მაგალითებს გმირობისას, რაინდობისას და კეთილშობილებისას იმავე ზომით, როგორც ფრანგები; უბედურება კი გამოიარეს უფრო მეტი, ვინემ ფრანგებმა; მიუხედავად იმისა, რომ ისინი იბრძოდნენ სპარსელების, არაბების, ბიზანტიის, თათრების და თურქების წინააღმდეგ, როგორც ახალგაზრდა ლომები; მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ყოფილან დამწვარი და აოხრებული საბოლოოდ, ისინი მაინც დგებოდნენ ფერფლიდან როგორც ფენიქსები, ყოველთვის მშვენიერები, კეთილშობილები და რაინდები; მიუხედავად იმისა, რომ იმათი სიმღერები იყვნენ უფრო ლამაზი და ძვირფასნი, ვინემ სიმღერები Willon' ის და Ronsard' ისა, მათი ღვთაებრივი რუსთაველი არ არის გალმერთებული ევროპაში, და თითქმის არც ცნობილი. გენიოსად ყოფნა—ცოტა ყოფილა დიდებისათვის, კიდევ საჭიროა თურმე ბედნიერება, ისე, როგორც არ არის საკმაო კეთილშობილ ნაციად ყოფნა, რომ ღირსეულად იყო მიღებული სხვა ქვეყანათა ერებში.

„ვეფხვის ტყაოსანი“—უკვდავი ქებაა სიყვარულისა. ბალმონტი ამბობს, რომ სიყვარულის ყველა პოემებს იმას ურჩევნია „ტრისტან და იზოლდა“, „მაგრამ“ იქვე უმატებს: „პოემა რუსთველის არ არის ნაკლებ მშვენიერი; მე არ შემიძლიან ნაკლები აღტაცება განვიცადო იმათი“-ო. ზეშთაგონებით ამბობდა პოეტი ბალმონტი რუსთაველის სიყვარულზე, თუ როგორ ცეცხლის ქარბუქით გაიარა სიყვარულმა სხვა ევროპიელ გენიოსების გულში, ამბობდა, რომ სიყვარული გრძნობაა, რომლითაც იზომება სიდიადე ნაციის. რაც უფრო დიდია ძალა სიყვარულისა, რომელიც ერმა ჩადო თავის მგოსნის სულში, მით უმეტეს კეთილშობილია, მითი უფრო ამაღლებული ხალხი. რიცხვით ქართველები—ცოტანი არიან, მაგრამ რუსთაველის მოცემით შეიქნენ დიდებულ ერად, მათი გულები არ არის ცარიელ და პატარები, რადგან მათ შეუძლიათ ავსება დიდებულ სიყვარულის კვილით.

ბოლოს, ბალმონტმა წაიკითხა ორი სონეტი, რუსთაველისადმი მიძღვნილი, როგორც მისალმება მაღალ ძმას, უკვდავ ქართველ პოეტს, სალამი ზეშთამგონს სტიქსის წყლების იქით გამწევი და ცხარე აპლოდისმენტი..

ტიტე ტაბიძე.

განძი

მე გულში ერთი განძი მაქვს,
გრძნობა მგონია მგოსნისა,
მაგრამ ეს განძი ტყვეობამ
დაითრია და მოსრისა.

ეს ჩემი გრძნობა მაღალი
ტყვეობამ ესე დაფარა:
თავის ნებაზე გამიწვრთნა,
როგორც კაჭკაჭი, ჯაფარა.

ეს ჩემი განძი, ეს გრძნობა
ტყვეობამ დამიბეჩავა
და ამუშავებს თავისთვის,
მთელი დღე, ვიდრე მზე ჩავა.

ვიტყვი,—ეს განძი ტყვეობამ
თავისი გზებით ატარა
და გალიაში ჩაკეტა,
ვით იადონი პატარა;

გაიბრძოლებს და შეკრთება
სინაზით მეტის-მეტითა...
უყარაულებს ტყვეობა
და ემუქრება კეტითა.

—

მე გულში ერთი განძი მაქვს,
გრძნობა მგონია მგოსნისა,
მაგრამ ეს განძი ტყვეობამ
დაითრია და მოსრისა.

ამორძალი.

ეკონომიური ცხოვრება

პური. ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის ცნობით რუსეთში 1916 წ. 1 ღვინობისთვისთვის ყოფილა 174 მილიონი ფუთი პური, გასაყიდათ გამზადებული. აქედან ჩრდილოეთ კავკასიაში ყოფილა 12 მილიონი ფუთი.

—

ამერიკული ფეხსაცმელი. მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკიდან ფეხსაცმელებით მოვაჭრეთა წარმომადგენელი გ. ვილსონი, რომელსაც მოლაპარაკება აქვს მოსკოვთან ამერიკიდან დიდძალი ფეხსაცმელებისა და კალოშების შემოტანის შესახებ. ქალაქი დაეთანხმა ამერიკელის წინადადებას.

—

მოსკოვის სახალხო ბანკი. ამ ბანკის ოპერაციების განვითარებას ფინანსების სამინისტრო უნდობლად უყურებს. სამინისტროს სახიფათოდ მიაჩნია ის მოვლენა, რომ ეს კერძო ბანკი მთელი რუსეთის კოოპერაციას ხელში იგდებს. მთავრობას განზრახული აქვს კოოპერატივებისთვის სპეციალური ბანკი დაარსოს. ამ სახით სამინისტროს იმედი აქვს, მოსკოვის ბანკის მონოპოლიური მისწრაფებები შეაფერხოს. ამის შესახებ სამინისტროს შესაფერი პროექტი უკვე შეუმუშავებია და მინისტრთა საბჭოში წარუდგენია.

—

ამერიკის პურის ბაზარი საერთო პოლიტიკური გამოურკვევლობის გამო ცვალებადობას და რყევას განიცდის. მწარმოებლები მოლოდინში არიან და საქონლის გასაღებას არ უჩქარიან. საზღვაო მოგზაურობის შეფერხების გამო თითქმის სრულებით შეჩერდა ექსპორტი და ექსპორტიორები საქონლის შეძენას არ ჩქარობენ. პურით ვაჭრობა უმთავრესად ადგილობრივი ბაზრისთვის სწარმოებს.

—

დასავლეთ ევროპის პურის ბაზარი კიდევ უფრო გამოურკვეველია. ინგლისის სტატისტიკა უკვე აღარ აქვეყნებს ცნობებს შესახებ სანოვაგის შეზიდვისა ინგლისში. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები იანვრის დამლევს შეეხება.

—

რუსეთში პურის ვაჭრობა უცვლელადაა. პურს იძენენ ადგილობრივ მთავრობის რწმუნებულები უმთავრესად მხედრობის საჭიროებისთვის. კერძო ვაჭრობა თითქმის სრულიად შეწყდა მხოლოდ მდარე ხარისხის პური იყიდება თავისუფალ ფასებში.

—

გერმანელთა ქარხნები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, რათა დაკმაყოფილებულ იქმნეს შუამდგომლობა კოსტრომის გუბერნიის ერობისა, რომელიც თხოულობს გერმანელთა ქარხნები მე გადმომეცითო.

—

იაპონიის ქაღალდი. უკანასკნელ წლებში იაპონიას დიდძალი ქაღალდი გააქვს ამერიკასა და ინდოეთში. ეს ქაღალდი იაპონელებს უფრო იაფად უჯდებათ, ვინემ შვედელებს და ნორვეგიელებს, ვინაიდან მათ სახალინზე დიდძალი ტყეები აქვთ და ნახშირი და გოგირდიც უფრო იაფად უჯდებათ.

—

რუსეთის მენავეობა. გამოქვეყნდა ცნობები შესახებ რუსეთის საგარეო ვაჭრობისა. რუსეთის ნავთსადგურებში მოსულ და ამ ნავთსადგურებიდან გასულ ხომალდების უდიდესი ნაწილი უცხოელებისაა. რუსთა მენავეთა საზოგადოებას ეკუთვნის ამ ხომალდების მხოლოდ 15 პროც. დანარჩენი კი უცხოელებისაა.

—

ზეთის ხილის საცდელ მინდვრის გასაფართოვებლად ართვინში მთავრობამ მიწა მიუზომა და მის დასამუშავებლად 6,480 მან. გადასდვა.

—

ნ. მებუკემ, ვ. ს. და ვ. პ. ჩიქვანებმა და ი. ხაფარაძემ მიიღეს ნებართვა შავი ქვის წარმოების დასაწყებად ს. ზედა-რგანში, შორაპნის მაზრაში.

ხევსურეთი და მისი სკოლები

ამ ბოლოს ხანს ერთობ მოუხშირეს წერა ფშავ-ხევსურეთზედ, უფრო კი უკანასკნელზედ. ბევრმა ბევრნაირად დაგვიხატა ამ მთიელთ ნივთიერი და სულიერი მდგომარეობა, მათი სულისკვეთება და დახმარების საჭიროება. ზოგმა ცილიც შესწამა: მწვალებლები არიან ფშავნი და ხევსურნიო და ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო. შესაძლოა ეს კარგის განზრახვითაც იყო ნაკარნახევი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ,—კარგს მთქმელს კარგი გამგონიც უნდაო. ჩვენმა ჭირისუფლებმა და მამინაცვლებმა სულ სხვა დაასკვნეს: ხევსურნი და ფშავნი ქართველთა მოდგმის ხალხია. ესენი მწვალებელნი და წარმართნი არიანო, მაშასადამე, ქართველები ვინ ყოფილანო?—ხალხი ველური, ურწმუნო და უკულტუროვო; მაშასადამე, ჩვენი მზე უნდა ილოცონ, რომ მათში შეგვაქვს სინათლე, ქრისტიანობა და მოქალაქობრივი ცხოვრებაო. თუ რა გზით და რაგვარია ეს ჩვენგნით მინიჭებული ბედნიერება, ეს რა მათი საქმეაო. ტყვეს პტყვნას ვინა ჰკითხავსო? ან სად გინახავთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკას სიმართლისათვის ედევნოს, რომ ჩვენ იმას ყური ვათხოვოთო. ვინც რა უნდა სთქვას, ჩვენმა წისქვილმა კი ფქვასო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველანი ერთად და ყველანი სათითაოდ ვინც კი რამეს სწერდა და სწერს დღესაც, სრულიად ან სცრუობენ ანდა ზერელედ, უფრო სხვის ნაამბობით აჭრელებენ გაზეთის ფურცლებს და აჯერებენ მკითხველს, რომ მათ შემოიარეს მთელი ხევსურეთი, გაიგეს, შეიტყვეს ყველა მათი გაჭირვება და დღეს ამას ქვეყანას ამცნობენ. ამათში შეიძლება გამონაკლისათ ჩაითვალოს ბ-ნი შ. ქარუმიძე. როგორც იმის ორი წერილიდამ სჩანს, მას უნახავს მხოლოდ ერთი ნაწილი ხევსურეთისა. ბ-ნ ქარუმიძეს შეუვლია ბარისახოზედ, გადასულა შატილში და იქიდამ არდოტით თუშეთში ან და კიდევ თუშეთიდან გამოუვლია არდოტზედ, შატილზედ, ხახმატზედ და ბარისახოზედ და ჩამოსულა ბარად.

ხევსურეთის მკვლევარნი და მოგზაურნი, საერო თუ სასულიერო პირნი ადიოდნენ მაღაროსკარს, საიდამაც იწყება არაგვის ფშავი, ადიოდნენ ორწყალს, სადაც იერთებს ხევსურეთის არაგვი ფშავისას, იშვიათად აღწევდნენ ბარისახოს და ამის ზევით კი ფეხს არ შესდგავდნენ და თუ შევლიდნენ, უთუოდ შეუხვევდნენ შატილისკენ. ამ მოგზაურთ აკლიათ ადგილობრივი დაკვირვებანი და მათზედ დამყარებული [illegible]. მაგ. ღვთის ცოდვად უნდა ჩასთვალოს კაცმა, რომ არ აღიაროს ფრიადი საჭიროება არხოტელთათვის სკოლის გახსნა სოფ. ახიელში, რომელსაც ოთხი სოფელი გარს შემოხვევია ხოხბის ჭუჭულებივით და მომწყვდეულია სამის მხრით ქისტებისაგან. უნდა იცოდეთ, რა არწივები და ქორიები (კაცის სახელებია) ბუდობენ აქ და რა სამსახური მიუძღვით ბარის წინაშე, რომ ყური მოვიყრუოთ იმათ საჭიროებაზედ და მიხედვაზედ. სიცრუვე იქამდის მივიდა, რომ ერწოსაც, სადაც ჩამოსახლებულან ძველადვე ორი თუ სამი სოფელი ხევსურეთიდამ (ბალების ხევი, ხევსურთ სოფელი) ხევსურეთად მოუნათლავთ და იქ გახსნილი სკოლა ხევსურეთის სკოლად იხსენიება მათს ანგარიშებში. თუმცა კი ერწო ჰშორავს არხოტსა და შატილს 100 ვერსით. აი ჩონჩხი ხევსურეთის ადგილ-მდებარეობისა.

ხევსურეთი იწყება თიანეთიდან ჩრდილოეთით 70 ვერსზედ, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც ორი გიჟი არაგვი—ხევსურეთისა და ფშავისა ერთმანეთს ეხეთქებიან და მაინძილს ერთურთს არ ეგუებიან და თავის ზვირთებს ცალკერძოდ ატარებენ, თუმცა სძალავს და სჯალთავს ღონით და სიდიდით ხევსური. ამ ადგილს ეწოდება **ორწყალი**, არის დუქანი გამართული და საყარაულო. აქედან იყურებიან ფრიალის კლდეებითა—ფშავი და ხევსურეთი, მარჯვნივ შეიყლის ფშავის ხეობა და ფშავის **არაგვი**, მარცხნივ ხევსურეთის ხეობა და ხევსურეთის **არაგვი.** ორივენი მიაწყდებიან ხახმატის ქედებს, შუაში შეუდის მუქის ციცაბოები თავისის მათურაით. პირველი სამწყსო თუ საზოგადოება ხევსურეთისა რვა ვერსის შეცთლებით ორწყლიდან არის **ბარისახო**, რომლის სოფლები, რიცხვით 20-მდის, მერცხლის ბუდეებივით შეკრულია ციცაბო კლდის ფერდობებზედ. მას ერთვიან ავუშოს და დათვიხის ხეობების წყლები. შესცილდებით ბარისხევს, გახვალ **ოხერხევს** (ვისაც ოხერხევის სათავემდის არ აუვლია, იქ შავათ დაფოთლილი ბევრი კალმახები არ უჭერია, ან კიდევ არხოტის ქედზე არ შემდგარა და არ გადმოუხედნია ალაზნისთვის, არაგვისთვის, თერგისთვის და არგუნისთვის, ნუ დაიკვეხებს—მე ხევსურეთი მინახავსო).

აქედან იწყება სამი ხეობა. ხახმატისა მარჯვნივ, როშკისა—მარცხნივ და შუაში—ბაცალიგოსი. ხახმატის ხეობას უდის არაგვი, როშკისას—როშკის წყალი, რომელიც ვარდება კლდეზედ და ერთვის არაგვს, ბაცალიგოსაც თავისი მდინარე. თითო ეს ხეობა შესდგება არა ნაკლებ ხუთმეტის სოფლისაგან თავის პატარ-პატარა ხეობებით და ციცაბოებით. იცის ხშირად ზვავები და ზამთრობით ადრევე სწყდება დანარჩენს ხევსურეთს. ხახმატი მიაწყდება შატილის ქედებს, სადაც იღებს სათავეს ხევსურეთის არაგვი, ხოლო ბაცალიგო ბლისთავით და როშკ-ღლიღვის მთით არხოტსა. აქვე როშკის თავში გუდამაყრის გადმოლმა მზის დასავლეთით არის ზამთარ-ზაფხულ საყინულე სიგრძით ათის ვერსისა დაახლოებით, გამომდინარეობს როშკის წყალი, აქ გულს იგრილებენ და იყურებიან ზაფხულობით ჯიხვის ფარები და ხევსურეთის ვაცები თავის წიწლებით, არხოტით და შატილის ქედით თავდება კავკასიონის მთავარი ქედი ანუ მთა გრეხილი და გადავდივართ პირიქით ხევსურეთში არხოტის ხეობით და შატილის ხეობით. ორთავეს უდის კარგი დიდი წყლები, სადაც მრავლად ბუდობს კალმახი; პირველი მათგანი გაივლის ქისტეთს და ერთვის თერგსა, ხოლო მეორე გაივლის ჩაჩანს და შეერთვის არგუნს. პირიქითი ხევსურეთი შესდგება სამი ხეობისაგან: არხოტისა, შატილისა და არდოტისა. ეს სამივენი მოსაზღვრე არიან ღლიღვებისა, ქისტებისა, აურთელებისა, ჩაჩნებისა და წაუნტებისა—არდოტი ბორბალოთი და აწუნტის მთით ესაზღვრება პირიქით თუშეთს [illegible] არხოტისა ღლიღვას [illegible] რომელზედაც გადადის სალხენე გზა, **გუდამაყარია** და იქ ადრევე გადასახლებულა ოთხი ხევსურეთის სოფელი და შეადგენს ჯუთის სამამასახლისოს.

აი ნამდვილი ხევსურეთი თავისის ხეობებით და ზვავიან მთაგორებით და თუ რამის გაკეთება გვინდა, სანამ გვიანლა არ იქნება (ბევრნი გადადიან ქისტების სჯულზედ ამ ომიანობის და სალდათის აღების გამო), აქ უნდა დავკრათ ბაირაღი და აქედან უნდა შევუდგეთ ხევსურთ განათლებას, თუ მოქალაქობას.

ამ 16 წლის წინეთ თბილისის ეპარქიის მეთვალყურეთ იყო გამწესებული აწ მიცვალებული **ბ. ევტიხი მამინეიშვილი**, კაცი ფრიად განსწავლული, საქმის ერთგული, მოყვარული თავის ეროვნებისა და ქვეყნისა. მისის მოღვაწეობით და ქრისტ. აღმადგენელ საზოგადოების მიერ საჭირო თანხის გამოღებით, იმ დროის თიანეთის მაზრის უფროსის თ. ჩოლოყაშვილის დახმარებით და, სხვათა შორის, გულშემატკივრობით, პატ. დ. დავითაშვილისა, რომელიც საზოგადოების მდივნად იყო ხევსურეთში, ნაჩვენებ ადგილებში აშენდა ქვიტკირის ეკლესიები და სამყოფელოები მღვდელ-დიაკვნებისა თითო ოთახის მიმატებით სკოლისთვის. ამგვარად იყო სკოლისთვის შენობა ს. ბარისახოში, ხახმატში, როშკაში, ბაცალიგოში, შატილში და არხოტის სატახტო ქალაქში, ახიელში. საჭირო ღა იყო ამ ადგილებში დაწყებულიყო სწავლა. მასწავლებლებათ უნდა ყოფილიყვნენ მღვდლები და მეფსალმუნენი. სოფელს ბარისახოში და ახიელში კიდევაც მოქმედებდნენ სკოლები. პირველში მოღვაწეობდა ჩვენი კარგად ცნობილი პოეტი ბაჩანა, ხოლო მეორეში მღვდ. ბალიაური. ერთიც და მეორეც მარჯვედ ეკიდებოდნენ საქმესა. დანარჩენ ხეობებსაც უნდა მოჰფენოდა სწავლა, მაგრამ რომ იტყვიან—საწყალ კაცს ქვა აღმართში მეეწევაო, სწორედ ასე მოუვიდა ხევსურეთსაც. დაინიშნა ოლქის მეთვალყურედ ბოროტების განსახიერება, მოსისხლე მტერი ჩვენის ეროვნებისა, მღ. ვოსტორგოვი და მან ყველაზედ უწინარეს გამოაცალა ახლად აგებულს შენობას დედა-ბოძი ევსტიხი მამინეიშვილი. შემდეგ მოაშორა ბაჩანა და მიკეტა არხოტის სკოლაც.

— როდესაც ჩაველ თბილისში და შევეკითხე დეკ. ვოსტორგოვს, თუ რად სჩადის ამ საქმეს, მან ხეპრულად მომცა პასუხი: Мы туда не можемъ заглянуть, а тамъ, чортъ знаетъ, какую республику вы и Н. Разикашвили (ბაჩანა) учреждаете“. მნიშვნელობას მოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ მოძრაობის ხანაში 1905 წ. სწორედ ესევე სიტყვები გამიმეორა თიანეთის მაზრის უფროსმა ბ. ლეონტიევმა, ს. ბარისახოში მე კიდევ ვითხოვე შემდეგში გაეხსნათ სკოლები ჩარგალში, მუქოში, როშკაში, ბაცალიგოში; წარვადგინე სოფლის დადგენილებანი; მღვდლებიც ამისთვის მომზადებულნი იყვნენ და მოწადინებულნი, მაგრამ ყოველივე იყო ფუჭი, მოდიოდა ერთი პასუხი,—უსახსრობისა გამო უარი ეთქვასო. შემდეგ ქარიშხალმა მეც შირაქს ქედები მაჩვენა და მთლად ჩაიშალა საქმე.

მღ. ივ. ხატიაშვილი.

(დასასრული იქნება)

აჭარელთა შორის

მაჭახლის თვალწარმტაც ხეობაში, სანახვეროდ განდგომილებულ-გადაბუგულში, ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ქართული სკოლა წარსულ წლის მარტში გახსნა. აქ მანამდი სკოლა არ ყოფილა და მთელ 1000 კომლ მცხოვრებთა შორის ქართული წიგნისა და წერილის წამკითხავს ერთს ვერ იპოვიდით. სკოლა გაიხსნა შუაგულ ადგილას, სახელდობრ, სოფელ ჩხუტუნეთში, მასწავლებლად გამწესეს ვიღაც, რომელიც თვე-ნახევრის შემდეგ მთავრობამ ბათომის ოლქიდან გააძევა. ამრიგად სკოლა წარსულ სამოსწავლო წელს დაკეტილი იყო. ენკენისთვის ბოლოს ჩხუტუნეთის სკოლაში სწავლა განახლდა. საზოგადოებამ მასწავლებლებად აქ გამოგზავნა გურული ქალები დები ქ.ქ. ვერა და ანეტა მგალობლიშვილის (გიგოს) ასულები. ხშირად მესმოდა, მასწავლებელი დები მხნედ მოეკიდნენ ნაკისრ წმინდა საქმესაო. მეუბნებოდნენ, რომ ვერა სკოლაში წიგნს ასწავლის, ანეტა კი—ხელ-საქმესო. ისიც გავიგე, რომ ორივე და მოზრდილ ქალ-ვაჟთაც ასწავლიან წერა-კითხვას, და წიგნებსა და გაზეთებს უკითხავენ ხალხსო...

საშობათო ორივე დაჲ შინ წამოსულიყვნენ, თან წამოეყვანათ სკოლის მსახური ახალგაზრდა სულეიმანი. 6 იანვარს მასწავლებლები ქ. ოზურგეთში ვნახე, აჭარისაკენ მიეშურებოდნენ. მესიამოვნა, მაჭახლის ამბავი გამოვკითხე. მითხრეს:

— პირველ კვირას ძრიელ მოწყენილი ვიყავით, გვერიდებოდნენ, საქმე არა გვქონდა და ისედაც ყრუ ადგილას მთლად გამოვყრუვდით. საბედნიეროდ, ადრე შეგვეთვისნენ, სკოლაში მოწაფე ქალებიც მოიყვანეს, ჩვენთან სიარულიც იწყეს,—გული გადაგვიშალეს. ორ თვეში კი ისე დაგვიახლოვდნენ, რომ დღესასწაულებზე შინაც არ გვიშვებდნენ. კურცხლით (ცრემლით) გამოგვისტუმრეს, წამოსვლის ხანს დიდი პატივი გვცეს, საუკეთესო კაცები დაგვითმეს და კიდეც გამოგვაცილეს.

მოწაფეები როგორ სწავლობენ?

იშვიათი ნიჭიერი ქალ-ვაჟებია, ძლიერ ადრე ითვისებენ წერა-კითხვას: სულ ორი თვე ნახევარია, რაც მეცადინეობა დავიწყეთ და აი ინებეთ, რა წერილებს გვწერენ ჩვენი მოწაფეები.

ამ სიტყვებთან ქ-ნმა ვერამ გადმომცა რამოდენიმე წერილი, რომლებიც მათ მიუღიათ აჭარიდან შინ ყოფნის დროს. წერილები ყველა საყურადღებოა. მოკლე, სხარტი, კარგ ქართულ ენით დაწერილი, შინაარსიანი. ჩვენ ამ წერილებს არც არას ვაკლებთ და არც არას ვუმატებთ, ისე აქვე ვბეჭდავთ. დაე ყველა მიხვდეს, თუ რა შესძლებია მუყაით და საქმის მოყვარულ ადამიანებს.

წერილი I.

ბატონო მასწავლებელო!*) გამარჯობას გისურვებთ. ბატონო მასწავლებელო, დაგვენატრა სკოლაში სწავლა, მაგრამ სახლებში რაც თუ შეგვიძლია იმას ვკითხულობთ. ჩვენ თქვენი ბრძანება ძლიერ გვეწყინა; ყველა დღეს გელით, ფეხზე ვდგანვართ, გზაში გიყურებთ, ძლიერ გაწყენილი ვართ. თქვენ რომ მობრძანდებით ძლიერ გავიხარებთ. თქვენ თუ ჩვენ თავს იკითხავთ, კარგად ვართ ჩვენც, თქვენ თავს ვიკითხავთ როგორ ბრძანდებით? ჩვენ გვინდა რომ ჩქარა გამოვიდეს იანვრის რვა და მეცხრე დღეს დილას სიხარულით მივიდეთ სკოლაში და ვისწავლოთ გაკვეთილი. ბატონო მასწავლებელო ჩვენ გთხოვთ რომ სამი დღით წინ წერილი გამოგვიგზავნოთ.

შამლაძე იუსუფ.

II

ბატონებო: ანეტა, ვერა და ნინა!

მოგილოცავთ ახალ წელიწადს, ვთხოვ ღმერთს რათა მრავალი ამისთანა მხიარული დღე გაგითენოსთ. გთხოვთ მაცნობოთ როგორ მშვიდობით ბრძანდებით. გთხოვთ მომიკითხოთ ჩემთვის დიდის მზგავსი ბატონი დედა თქვენი. მომიკითხეთ სულეიმანი.

ბატონო ვერა ეფენდი. სადილობა იყო, რომ თქვენ კლასთან გვეარე, თუ ღამე იყო, რომ კიდამ წევიქეცი —გთხოვთ ადრე მობრძანდეთ.

აკწერს თქვენი ძმა მოლა

ხალილ კახიძე.

III

ბატონო მასწავლებელო ვერა ეფენდი!

გილოცავთ კეთილი გულით წარსულ და მომავალს დღესასწაულებს, გთხოვ ალლახს მუხლ მოყრილი, რათა მან გაგითენოსთ ამისთანა დღესასწაულები. მე კარგათ ვარ, რასაც თქვენც გისურვებთ. გთხოვთ გულითადი სალამი გადასცეთ ანეტა ბატონს და ნინა ბატონს. დიდი სასურველი იქნება ის დღე ჩვენთვის, რომელ დღესაც თქვენ, ბატონო მასწავლებელო, ისურვებთ აქეთ მობრძანებას. ბატონო, აგი წერილი საჩქაროთ დავწერე, შეიძლება ვერ იკითხოთ.

ვრჩები ნახვის ნატვრით აღვსილი პატივისცემით **ხალილ ოსმანის ძე კახიძე.**

სულეიმან! სელამ ალეიქუმ! როგორ ხართ ბიჭო! გძინავს თუ გღვიძავს! ჭკუით იყავი, ღვინო არ დალიო— ჩვენ თათარი ხართ.

აკწერს **ხალილ კახიძე.**

პირველ ორ წერილის მომწერი სკოლის მოწაფეებია უკანასკნელი წერილის ავტორი კი 25 წლის კაცია. წერაკითხვა საღამოს კურსებზე უსწავლია. ქ. ქ. მასწავლებელნი ძალიან ემადლიერებიან ადგილობრივ მწერალს და მამასახლისს, ორივე გულმოდგინედ გვეხმარება სკოლის წარმატებაში.

აპ წულაძე.

თბ. საქალო საეპარქიო სასწავლებელში

10 თებერვალს, თბილისის საქალო საეპარქიო სასწავლებელში ბარათაშვილის დილა გაიმართა. წაკითხულ იქმნა რეფერატები, როგორც „იდეალი ბარათაშვილის პოეზიაში“ და სხ. საყურადღებო იყო ქ. ბარდაველიძის ხომერიკის, მაისურაძის მოხსენებანი. ცოცხლად იქმნა წაკითხული თვითონ ბარათაშვილის ლექსებიც.

ლექსთა მკითხველებში ირჩეოდა ქეთო ნასარიძის ასული. მწყობრად და ლამაზად გალობდა ეროვნულ სიმღერებს ბ. ია კარგარეთელის მიერ გაწვრთნილი გუნდი მოწაფე ლლონტის ქალის ლოტბარობით.

შემდეგ გაიმართა ქართული და ევროპიული ცეკვა.

დილა დასრულდა 3 საათზე.

მადლობის ღირსნი და წასაქეზებელნი არიან თვით მოწაფენი, რომელთაც მოიწადინეს დილის გამართვა და ის მასწავლებელნიც, რომელთაც ფრთები შეასხეს მათ სურვილს და შეაძლებინეს მათ თავის ჩუმ სასწავლებლის კედლებში ასეთი სიხარულით და ბავშვური აღტაცებით აღენიშნათ დიდებულ მგოსნის ხსოვნა. საყურადღებოა ისიც, რომ თბილისის საქალო საეპარქიო სასწავლებელში პირველად გაიმართა ქართული დილა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთად-ერთი სასწავლებელია ქართული სულის მატარებელი.

გოგლა.

ქ. დორპატის სათვისტომო

ქ. დორპატის სათვისტომოსთან არსებულმა „არჩ. ჯორჯაძის სახელობის სალიტერატურო წრემ“ კვირას, იანვრის 29-ს, მოიწვია საზოგადო კრება, რომელსაც წრის წევრმა მიხ. აბრამიშვილმა წაუკითხა მოხსენება: „კანტი და მისი ესთეტიური თეორია“. ბ-ნმა აბრამიშვილმა შესავალში თვითვე აღნიშნა, რომ შეიძლება კიდეც შემნიშნოთ, რომ დღევანდელ მომენტში ასეთის თემების კითხვა უადგილოდ ჩაითვლებაო,—მაგრამ თვითვე სამართლიანად განმარტა, რომ მარტო ომის შედეგების ცდა არას გვარგებს, თუ სხვა საჭირო საგნებს უყურადღებოდ დავსტოვებთ. და კანტის ესთეტიური თეორია კი, როგორც გამომსახველი სილამაზისა და დიადობის თავისებურად შეგრძნობისა არც თუ უინტერესოა. საერთოდ თემა მომხსენებელმა დაკვირვებულად გაარჩია. განმარტა კანტის შეხედულება სილამაზის სპეციფიურ ხასიათისა და სილამაზისა და დიადობის სხვადასხვაობის შესახებ,—შემდეგ კი გზა და გზა პარალელი გაატარა ელლინურ სილამაზესა და კანტის წარმოდგენილ სილამაზეს შორის და აღნიშნა, რომ მათი საერთო ფორმულა უინტერესო და წმინდა ფორმალური სილამაზეაო. დაბოლოს, გაარჩია თანამედროვე ხელოვნებისა, ელლინთა სილამაზისა და დიადობის გამომხატველი ომის ვითარებიანი და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართული სული დღეს დღეობით იმდენად დალახრჩულ-დაცემულია, რომ ტრაღიკულ მდგომარეობაში იმყოფება,—ნაცვლად სიდიადისა და სილამაზის უმწვერვალესობის მიღწევისა.

მომხსენებელს გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომლებიც თვით კანტისა და მისი თეორიის განმზიარებლების მოსაზრებების დარღვევას სცდილობდნენ, მაგრამ აბრამიშვილი თავის წამოყენებულ დებულებებს, რის უყოყმანოდ იცავდა, შემდეგაც კრებამ იგი დიდის მადლობითა და აპლოდისმენტით დააჯილდოვა.

მიშო.

დაბა-სოფლები

ქ. ფოთი. ექვს თებერვალს შესდგა კრება გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებისა. კრების თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა არჩეული მღვ. ეპიფანე ჩხაიძე. ყ-დ სამღვდელო ლეონიდმა სხდომის გახსნას წარუმძღვარა სახელმძღვანელო დარიგება გასარჩევ საკითხების შესახებ. კრებამ პირველად საზოგადო ხასიათის საგნებზე იმსჯელა, ხოლო მორიგი საკითხები საბოლოოდ გადასდო.

თავმჯდომარემ დასვა საკითხი ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის შესახებ. კრებისადმი მიმართული სიტყვა ამ საკითხის შესახებ დაახლოვებით ასე დაასრულა: სანუგეშოთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ისინი, რომელნიც ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი წინეთ, იმის წამოყენების დროს, ალმაცერად უყურებდნენ და ხანდისხან სამღვდელოების ნაბიჯს დაცინვითაც უმასპინძლდებოდნენ, და რომელთაც არ ჰქონდათ ნათლად გარკვეული შეხედულობა ამ საკითხზე, ეხლა არა თუ უბრალოდ თანაგვიგრძნობენ, კიდევაც ამოქმედდენ ამ საქმის მოსაგვარებლათ და, ასე წარმოიდგინეთ, ჩვენც გვაქეზებენ ამ საქმისათვის. ასეთი შეერთება და ძალის გაძლიერება თავდებია იმის, რომ საქმე საკეთილოდ დაგვირგვინდება. გურია-სამეგრელოს სამღვდელოება ყოველთვის გვერდით ედგა დანარჩენ სამღვდელოებას და ეხლაც მასთან იქნება“.

კრებაზე წაკითხულ იქმნა შარშანდელი კრების დასაბუთებული დადგენილება ამ საკითხის შესახებ, რომელიც სასინოდო კანტორაში ყოფილა გასარჩევად. კრებამ გამოიტანა დადგენილება ჩვენი ეკლესიის თვითმართველობის აღდგენის მოთხოვნისა და წართმეული მამულების დაბრუნებისა. არჩეულ იქმნა დეპუტაცია თბილისში წარსაგზავნად. დეპუტაციაში შედის: დეკ. ეკვ. შენგელაია, მღვდლები ე. ჩხაიძე და კ. ჯავახია. ამავე დეპუტაციას დაევალა იყოს სამღვდელოების წარმომადგენლად შემდეგშიც საეკლესიო საკითხში და სამღვდელოების შესახებ საქმეებშიაც. ამათვე მიანდვეს, მიმართონ ჩვენი თავად-აზნაურების დეპუტატთა საკრებულოებს, ჩვენის ქვეყნის ქალაქების თვითმართველობებს და კულტურულ დაწესებულებათა კავშირის გამგეობას, რათა ამათაც ხელი შეუწყონ ჩვენი ეკლესიის საკითხის გამორკვევას. კრებამ დაადგინა დასტოვოს ხმარებაში საეკლესიო ბეჭდები ქართული წარწერით, და საყვედური გამოსთქვა იმ კეთილ მოწესეების მიმართ, რომლებმაც იჩქარეს და რუსული ბეჭდები გამოიწერეს ეკლესიებისათვის. კრებამ მოითხოვა სამღვთო სჯულის სწავლება ორივე უწყების სკოლებში ქართულ ენაზე.

კრებამ მიიღო სახეში ის გარემოება, რომ ჩვენს ეკლესიებში ცხოველი სიტყვა ქადაგებისა არ ისმის და ამ ნაკლის შესავსებად გამოიტანა ასეთი დადგენილება, რომ ჯერჯერობით არჩეულ იქნეს მაზრაში თითო საამისოდ მომზადებული მღვდელი, რომელიც ვალდებული იქნება საეკლესიო დღესასწაულებზე და სხვა სადღესასწაულო შემთხვევებში წარმოსთქვას ქადაგება. ამ შრომისთვის იმას დაენიშნა მცირედი სასყიდელი.

სანთლის ქარხანა შედარებით კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც უნდა მიეწეროს ყ-დ სამღვდელო ლეონიდის მზრუნველობას ამ საქმისათვის, რისთვისაც მის მეუფებას სამღვდელოებამ მადლობა მოახსენა.

თბილისის სემინარიის არსებობის ასი წლის იუბილეს დღესასწაულში მონაწილეობის მიღების პროგრამის შედგენა მიენდო ცალკე კომისიას. ზემოხსენებულ დეპუტაციის წევრებს მიენდო გამოიმუშაოს წესდება ისეთის დაწესებულებისა, რომელმაც უნდა შეაკავშიროს ჩვენი სამღვდელოება და იზრუნოს მის სულიერ, ზნეობრივ და ნივთიერ ამაღლებისათვის, მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების მსგავსად.

ფოთში ხმა გავრცელდა, რომ ობერპროკურორის ამხანაგი ჯევახოვი სოხუმში არის და აქ გამოივლისო. იმედია, ზემოხსენებული დეპუტაცია წარსდგება მის წინაშე ყ-დ სამღვდელო ლეონიდის მეთაურობით და ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებების აღდგენის საკითხს გააცნობს.

დამსწრე.

მოწოდება

საქართველოში მომქმედ კოოპერატივთა და საკრედიტო ამხანაგობათა მიმართ.

(წერილი სოფ. კორბოულიდან, ზემო-იმერეთი)

სულ რაღაც 5—6 წელიწადი თუ იქნება, რაც ჩვენს დაბა-ქალაქებსა, თუ სოფლებში ჩქარის ტემპით დაიწყო გამრავლება მომხმარებელ და საკრედიტო, თუ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებისა. ხსენებულმა ამხანაგობებმა ამ მოკლე ხნის განმავლობაში დიდი სიცოცხლე შეიტანეს ჩვენს ხალხში. თუ აქამდის მხოლოდ ყოველი წლის მაისის თვეში მომხდარი იმერეთ-ამერეთის სათავად-აზნაურო კრებები იქცევდენ ქართველ საზოგადოების ფართო ყურადღებას წმინდა მოგების გასანაწილებლათ და თანამდებობის პირთა ასარჩევათ, სამაგიეროთ ამ ჟამად ყოველ წლის იანვარ-თებერვალ-მარტის თვეები დიდ მოძრავ და საყურადღებო თვეებად არიან მისაჩნევნი, ვინაიდგან აღნიშნულ თვეებში ყველა საკრედიტო თუ მომხმარებელი საზოგადოება ვალდებულია მოახდინოს ხოლმე ამხანაგობათა საზოგადო წლიური კრებები, როგორც თანამდებობის პირთა ასარჩევათ, ისე წარსულ წლის წმიდა მოგების გასანაწილებლათ.

და ვინაიდგან ამ საზოგადოებების წმინდა მოგება სდგება ჩვენის ხალხისავე წვრილ-წვრილათ გადანახად გროშებისაგან, ამისათვის სამართლიანობა მოითხოვს, რომ ნაწილი ამა მოგებისა ხმარდებოდეს ეროვნულ საქმეს. მრავლად არის ჩვენში ეროვნულნი საჭიროებანი, მაგრამ ამ ხანათ ყველაზედ ზედმეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ სულ ახლახან ქუთაისში დაარსებულ „სინათლის“ საქალო სასწავლებელს, სადაც ყოველ საგნების სწავლება სწარმოებს ქართულ ენაზედ. ამ სასწავლებელმა ჩვენს ქვეყანას უნდა აღუზარდოს ნამდვილი ჭეშმარიტი ქართველი დედები.

ამ სტრიქონების წერის დროს წინ მიძევს „სინათლის“ საზოგადოების თავმჯდომარის, საზოგადო მოღვაწის ქ. აბაშიძის და ამავე სასწავლებლის გამგის დ. უზნაძის მოწოდება, რომელსაც უთუოდ ყველა სხვა ამხანაგობებიც მიიღებდენ. ეს მოწოდება სრულიად ნათელ ჰყოფს, თუ რა მიზანი დაუსახავსთ მის დამაარსებლებს და ამისათვის ჩვენს აუცილებელ მოვალეობას შეადგენს, რომ ამ ნორჩს და თითქმის არსებობისათვის სახსარმოკლებულ სასწავლებელს ხელი შევუწყოთ და გავაღონიეროთ.

ამისი დროც სწორეთ ახლა არის: წესდების ძალით, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ყველა საკრედიტო და მომხმარებელი ამხანაგობები ვალდებულნი არიან ყოველი წლის პირველ 3—4 თვეებში მოახდინონ წლიური კრებები და იმ კრებების დროს გაანაწილონ ხოლმე წლიური მოგება. და აი სწორეთ ამ მოგებიდგან ნაწილი გადავდოთ ხსენებულ სასწავლებლის საჭიროებისათვის.

ასევე უნდა მოიქცნენ აღმოსავლეთ საქართველოს ამხანაგობებიც და იმათაც თბილისში „განათლების“ საზოგადოების საქალო სემინარიის სასარგებლოთ გაიღონ თავიანთი წვლილი და ამით ჩვენს მტერსა და მოყვარეს ვაგრძნობინოთ, რომ ამ ეროვნულ სასწავლებლებს ქართველი ხალხი თავის ჭირისუფლობას არ მოაკლებს.

კორბოულის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე

მღვდელი **ვლადიმერ მაჭარაშვილი.**

შემოწირულებანი

თბილისის ქართულ საქალო გიმნაზიასთან განზრახულ თავშესაფარის დასაარსებლად კეთილ ინებეს და თავიანთი წვლილი გაიღეს: **ას-ასი მან:** კნ. მარიამ ივანეს ასულმა არღუთინსკი-დოლგორუკოვისამ ვაჟებითა და რძლებითურთ, თ. ივანე მიხეილის ძე სუმბათაშვილმა დებითურთ, კნ. ბარბარე ირაკლის ასულმა მუხრან-ბატონისამ, კნ. ქეთევან ერეკლეს ასულმა ამილახვრისამ, თ. ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანმა, კნ. ნინო ელიზბარის ასულმა ქობულაშვილისამ; **ხუთ-ხუთი თუმანი:** კნ. ეკატერინე ზაქარიას ასულმა ერისთავისამ, მ. კოროსტოვცევისამ, ელისაბედ ვასილის ასულმა გერსევანოვისამ; **ოცდახუთ-ხუთი მან.:** თ. გიორგი ალექსანდრეს ძე და კნ. ელენე სიგიზმუნდის ასულმა მუხრან-ბატონებმა, კნ. ვერა იაკობის ასულმა ერისთავისამ, კნ. ეკატერინე მიხეილის ასულმა ერისთავისამ, კნ. ელისაბედ დავითის ასულმა ერისთავისამ, კნ. ქეთევან ჯიბრაილის ასულმა ამირაჯიბისამ, თ. ალექსანდრე ბესარიონის ძე და კნეინა ვერა ივანეს ასულმა მხეიძეებმა და №№-მა; **ორი თუმანი:** ბართლომე ალექსის ძე კალაძემ; **თითო თუმანი:** კნ. ანნა მიხეილის ასულმა დიასამიძისამ, კნ. ნინო ნიკოლოოზის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ, ელენე ქაიხოსროს ასულმა ანტონოვსკისამ; **ხუთ ხუთი მან.:** ელენე ალექსანდრეს ასულმა აბულაძისამ, გიორგი თევდორეს ძე ჟორდანიამ, იულია ივანეს ასულმა ზუბალაშვილისამ, ჰენრიეტა ივანეს ასულმა ზუბალაშვილისამ, ადამ ივანეს ძე ჩეხოვსკიმ, კონსტანტინე იოსების ძე მამაცაშვილმა, კნ. ელისაბედ მიხეილის ასულმა ვეზირიშვილისამ და 3 მანეთი იაკობ შევარდნაძემ. სულ 1013 მან.

ხსენებულ შემომწირველთ გულითადს მადლობასა ვსწირავ

თბილისის ქართულ სათ.-აზნ. საქალო გიმნაზიის სამზრუნველოს საბჭოს თავმჯდომარე **კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

ბ. რედაქტორო!

გაახლებთ 25 მან. და ერთ აბაზს. გთხოვთ გადასცეთ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად. ამ ფულიდან 20 მ. და 2 კ. ჯარიმის სახითაა შეგროვილი საშო ლომსაძის ოჯახში და 5 მანეთიც მიხ. აბაშიძის ჩიქორთულ ლაპარაკისათვის.

დავშთები პატივისცემით ა.

—

რედაქციამ მიიღო ქვემო მაჩხაანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კრებაზე შეგროვილი 25 მანეთი ქალთა საზოგადოება „განათლების“ სასარგებლოდ.

—

რედაქციაი მიითო ბ. მიხეილ ჯავახიშვილისაგან 5 მანეთი მეჩეთის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4, 8	„ 58 „	დილ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ¢ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის
წყალი“

ქუთაისში
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული **სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის** წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან **ახალი ქვირითის ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მუშოჩნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს **აგრეთვე მიღებული** ყოველგვარი კონსერვები და **სარდინკები** რუსეთის და საზღვარ-გარეთის **ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**

სუსუნატით (ჰონორეა) ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე მილისას, ჭავებისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „**ურიტალი**“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელი კურსი ეღირება 25 მან.

უფასოდ

გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშიურა რუსულ ენაზედ ვინც 10 კაპ. მარკას გამოგვიგზავნის. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд.** 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

---

*) დასასვენებელი ნიშნები არც ერთ წერილში არ არის. ეს წერილები რედაქციაში ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კაანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4